საბა

№12
დეკემბერი
2010

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

გვადალუპეს ჯერთხეულო ქალწულო,
გვაჯერთხე და დაგვიცავი ჩვენ!

2010 წლის 27 ოქტომბერი, ჟამთა აღსასრული...

რატომ შევარჩიეთ ეს თარიღი? მსოფლიოს აღსასრულს ხომ არ წინასწარმეტყველებს? ასეც რომ ყოფილიყო, უკვე ყველაფერი ჩავლილია.

ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის კალენდრით, ეს თარიღი ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისია. ვინ იცის, რატომ საუბრობენ დღეს ასე ხშირად, ასე საგანგაშო ტონით მსოფლიოს აღსასრულსა და ანტიქრისტეს მოსვლაზე, იქნებ ხალხის შეშინებისა და... ფულის კეთების მიზნით (გავიხსენოთ, რამდენი ფილმი გადაიღეს და რამდენი წიგნი დაიწერა ამ თემაზე). წუთისოფლის აღსასრულის თარიღის უწყებისას, ყოველთვის უნდა გავუწიოთ ანგარიში სამ რამეს: პირველი: ეს უწყება ისევე ერთადერთი და შეუცვლელია, როგორც დედა, სხვა დანარჩენი მცდარია; მეორე: რაც უფრო მეტად უახლოვდებიან გაცხადებულ თარიღს, მით უფრო ივიწყებენ ჟამთა აღსასრულის უწყებას (იოანე მოციქულის გამოცხადება),ან ის ახლებურადაა ინტერპრეტირებული ფსევდო-წინასწარმეტყველთა მიერ, რომლებიც ცდილობენ თარიღის შორს გადაწევას იმის შიშით, რომ მარცხი არ განიცადონ ახალი აბსურდული ციკლის გახმაურებით. ასე მაგალითად, კარგად ნაცნობი თარიღი – 2010 წელი 2060 წელს გადაიტანეს, რაც დიდი მათემატიკოსის, ფიზიკოსისა და ასტრონომის – ნიუტონის (1642-1726) თეორიის ყალბი ინტერპრეტაციაა; თუნდაც 2000 წელი, გავიხსენოთ, რამდენი მოინათლა მაშინ აღსასრულის მოახლოების შიშით. ...ყოველივე ამის შემდეგ, ისმის კითხვა: იესო ჩვენს შესაშინებლად მოვიდა, თუ შიშისგან ჩვენს გასათავისუფლებლად?! რასაკვირველია, ისიც ვიცით, რომ შიში ცუდი თანამგზავრი და ცუდი მასწავლებელია; და მესამე: ფსევდო-მორწმუნენი დღესაც თვალდაუხამხამებლად ირწმუნებენ ახალ თარიღს და ამას კიდევ ერთხელ მოახვევენ თავს სხვებს.

საინტერესოა, რატომ ხდება ასე, და არიან თუ არა ისინი ნამდვილი მორწმუნენი. დღეს ხომ უამრავი ადამიანი, ამ ცრუ განგაშის მიუხედავად, კვლავაც აგრძელებს ჟამთა აღსასრულის ნიშნებისა და ანტიქრისტეს ძიებას, რითაც ბანალურს ხდის ქრისტიანული და სხვა რელიგიების ძალზე მნიშვნელოვან რეალობას, ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს: ტკივილს, დაავადებას, შიშს, ისტორიულ მოვლენებს, ბუნებრივ კატასტროფებს, ომებს; ცხადია, დღევანდელ მსოფლიოში უამრავი რამ მიანიშნებს იმ მცდარ გეზზე, რასაც კაცობრიობა ადგას, და რაც უეჭველად პრობლემურს გახდის კაცობრიობის მომავალს, თუკი არ მოხდება მისი შეცვლა: ამ მხრივ, აღსანიშნავია გენეტიკურ სფეროში ახალი აღმოჩენების არასწორი გამოყენება, ბუნებრივი და მატერიალური რესურსების არამიზნობრივი მოხმარება, ადამიანში არსებული სულიერი და სასიცოცხლო ძალების არასწორად მართვა... მაგრამ, ნუთუ ეს ყველაფერი მიგვანიშნებს უფლის მეორედ მოსვლაზე? იმაზე ხომ არ მიგვანიშნებს, რომ ადამიანი თავისი ხელით სპობს ღვთისგან შექმნილ და გამოსყიდულ სამყაროს, რომელსაც თავისი ძის მეორედ მოსვლა აღუთქვა? სამწუხაროდ, ადამიანები თავიანთი საქციელით უფრო მეტად მიისწრაფვიან სამყაროსა და კაცობრიობის განადგურებისაკენ.

ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანს არ სწამს ჟამთა აღსასრული, ანტიქრისტეს არსებობა. თუკი ისინი, ვინც ხალხის დაშინებითა და სხვადასხვა ფაქტების მანიპულირებით არიან დაკავებულები, ნამდვილად ირწმუნებენ ხმებს, რომლებსაც თავადვე ავრცელებენ, სხვაგვარად იცხოვრებენ და სრულიად სხვაგვარად წაიკითხავენ წმიდა ტექსტებს; ვერ ისაუბრებ უსამართლობაზე, ადათ-წესების რღვევაზე,... თუკი შენში არ დაიბადება ვითარების შეცვლის სურვილი; ადამიანი კი ხშირად გაურბის საკუთარ პასუხისმგებლობას და სხვებს ადანაშაულებს (ანტიქრისტეს, ხორცშესხმულ ეშმაკს!). გაცილებით იოლია იმის თქმა, რომ სამყაროს აღსასრული დადგება, ვიდრე იმისა, რომ ასე თუ გავაგრძელებთ ცხოვრებას, ჩვენ თავად დავაჩქარებთ სამყაროს აღსასრულს, მის დაღუპვას. მავანი და მავანი გართულია იმ ნიშნების ძიებით, რაზეც საუბარია წმიდა ტექსტებში (მაგ: აპოკალიფსი): გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი ციფრი: 666, რაც ლამის იოანე პავლე II-ს სურათთან გააიგივეს, რომელიც თვალებზე სათვალის იმიტაციას ქმნის თავისი თითებით.

ქრისტიანს მტკიცედ სწამს, რომ ქრისტე თავისი დიდებით მეორედ მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად, და ეს რწმენა მისთვის ურყევია, თუნდაც არც ნიშნები ჩანდეს, და არც ანტიქრისტე; არავინ იცის, როდის მოვა უფალი იესო მეორედ, ასეთია უფლის პასუხი და ამიტომაც გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ის მოვა, და არა ის, თუ როდის მოვა; კარგად ვიცით, რომ უფალი წუთისოფელში ერთხელ უკვე მოვიდა, და როგორ შეიძლება მის მეორედ მოსვლაზე ამხელა აჟიოტაჟის ატეხვა, თანაც მაშინ, როდესაც უამრავ ადამიანს, – მათაც, ვინც გამუდმებით საუბრობს ამაზე, – ჯერ კიდევ ვერ უწამებია უფლის პირველი მოსვლის ნიშნები და სიტყვები, და ცხოვრებას ისე აგრძელებენ, თითქოს უფალი არც არასოდეს მოსულა და არც არაფერი მომხდარა! უფალმა ერთ-ერთ მოვალეობად დაგვისახა, რომ მუდამ მზად ვიყოთ მისი მოსვლისთვის, რადგან ის ერთხელ უკვე მოვიდა და ცოცხალია. უფლის მოლოდინში მყოფი ქრისტიანი ცდილობს, იცხოვროს რწმენით, იფხიზლოს, ილოცოს, იმოქმედოს; ადრექრისტიანულ ხანაში, ისევე როგორც სხვა ეპოქაში, იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ ქმნიდნენ ოჯახებს, არ მუშაობდნენ, ისინი უდაბნოში განცალკევდებოდნენ და ყურადღებით აკვირდებოდნენ მთვარისა და მზის ნიშნებს,... ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ უფლის მოსვლის დღე კარს იყო მომდგარი.

ახალი ლიტურგიული წელი ერთი ნაბიჯით მიგვაახლოებს უფლის მეორედ მოსვლასთან და ყველა პირობას შექმნის იმისთვის, რომ საზოგადოება იყოს უფრო სამართლიანი და ღვთის სასუფევლის მსგავსი, რომელსაც იესო ზეციერ მამას წარუდგენს თავისი მოსვლის ჟამს (შდრ. 1კორ. 15,24); ასევე შესაძლებელია, რომ ყოველი განვლილი დღე და ყოველი ახალი დღე წუთისოფლის აღსასრული და ახალი სამყაროს დასაწყისი იყოს.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ბენედიქტე XVI-ის სამოციქულო ვიზიტი ესპანეთში

ამა წლის 6-8 ნოემბერს გაიმართა უწმიდესი პაპის რიგით მე-18 სამოციქულო ვიზიტი, ამჯერად ესპანეთში. ვიზიტის პროგრამა ორ ქალაქში სტუმრობას ითვალისწინებდა – სანტიაგო-დე-კომპოსტელასა და ბარსელონაში.

სანტიაგო-დე-კომპოსტელას აეროპორტში პონტიფექსს პრინცი ფილიპე და მისი მეუღლე ლეტიცია ორტის როკასოლანო შეხვდნენ. პრინცმა მადლობა გადაუხადა პაპს სტუმრობისთვის და აღნიშნა, რომ იგი დიდი პატივით სარგებლობს ესპანელთა შორის, როგორც „მშვიდობის, თავისუფლებისა და ადამიანის ღირსების დამცველი“.

„მე ჩამოვედი, როგორც მომლოცველი. ვუერთდები მათ, ვინც საუკუნეთა მანძილზე მოდიოდა აქ იბერიის ნახევარკუნძულის ყველა კუთხიდან და მთელი ევროპიდან. მომლოცველებმა შექმნეს ესპანეთის ქრისტიანული სახე“, – აღნიშნა თავის მისასალმებელ სიტყვაში ბენედიქტე XVI-მ.

აეროპორტიდან უწმიდესი პაპი ქალაქის საკათედრო ტაძრისკენ გაემართა. შეკრებილთ ტაძარი ვერ დაიტევდა, ამიტომ წირვა პონტიფექსმა ღია ცის ქვეშ აღავლინა. „ტრაგედიაა, რომ ევროპაში გაჩნდა და XIX საუკუნეში განსაკუთრებით გავრცელდა აზრი, რომ ღმერთი ადამიანის მეტოქე და მისი თავისუფლების მტერია. სინამდვილეში ღმერთი ჩვენი არსებობის წყაროა, ჩვენი თავისუფლების პირობა და მწვერვალია, და არა მისი მოწინააღმდეგე. აი, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი, რომ უფლის სახელი კვლავ გაჟღერდეს ევროპის ცის ქვეშ.

ვერ ვეთაყვანებით ღმერთს, თუკი ადამიანს არ დავიცავთ. ვერ ვემსახურებით ადამიანს, თუკი დავივიწყებთ მის მამას – ღმერთს. სიყვარული ღმრთისა და სიყვარული ადამიანისა: სწორედ ამას ასწავლის ევროპას ეკლესია“ – აღნიშნა თავის ქადაგებაში უწმიდესმა პაპმა.

წირვის შემდეგ, უწმიდესი პაპი კვლავ აეროპორტში დაბრუნდა, საიდანაც ბარსელონაში გაფრინდა. მისასალმებელი ცერემონიის შემდეგ, ბენედიქტე XVI ღამის გასათევად მთავარეპისკოპოსის რეზიდენციისკენ გაემართა.

7 ნოემბერს, დილით, უწმიდესი პაპი წმიდა ოჯახის ეკლესიისკენ გაემართა. ტაძრის მოედანზე მას მომლოცველები ელოდნენ, რომელთაც აქ მთელი ღამე გაატარეს. პონტიფექსმა მომლოცველთა საყვარელ ადგილს მცირე ბაზილიკის სტატუსი მიანიჭა. „სახელმწიფომ უნდა დაიცვას ოჯახი, მამაკაცისა და ქალის ქორწინებაზე დაფუძნებული, უნდა დაიცვას სიცოცხლის ხელშეუხებლობა. ამიტომ ეკლესია მოუწოდებს ადეკვატური ეკონომიკური და სოციალური ზომების მიღებისაკენ, რათა ქალმა შეძლოს საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაცია სამსახურსა და სახლში; რათა დაქორწინებულმა წყვილმა, მამაკაცმა და ქალმა სახელმწიფოს ხელშეწყობა იგრძნონ; რათა ჩვილთა ხელშეუხებელი სიცოცხლე დაცული იყოს ჩასასვისთანავე“, – თქვა თავის ქადაგებაში ბენედიქტე XVI-მ.

კათოლიკე ეკლესია ჩინეთში

ამა წლის 18 ნოემბერს წმიდა საყდარმა თხოვნით მიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებას, არ აიძულოს პაპისადმი ლოიალურად განწყობილი კათოლიკე იერარქები, დაესწრონ იოზეფ გუოს ხელდასხმას. როგორც აღნიშნა წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის მდივანმა ფედერიკო ლომბარდიმ, ვატიკანი აღაშფოთა ცნობამ, რომ ჩინეთის ხელისუფლება სწორედ აიძულებს კათოლიკე ეპისკოპოსებს, მონაწილეობა მიიღონ ამ ხელდასხმაში. „წმიდა საყდარი ამგვარ მოქმედებებს ახასიათებს, როგორც რელიგიისა და სინდისის თავისუფლების სერიოზულ დარღვევას“, – ნათქვამია პრეს-მდივნის განცხადებაში.

იოზეფ გუოს ხელდასმა ამა წლის 20 ნოემბერს შედგა. წმიდა საყდრის თხოვნა ჩინეთის ხელისუფლების მიერ არ იქნა გათვალისწინებული. ეპისკოპოსები, რომლებიც ამ ხელდასხმას არალეგიტიმურად მიიჩნევდნენ, იძულებულნი იყვნენ, ცერემონიას დასწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არის კათოლიკეთა ორი გაერთიანება – „იატაკქვეშა“ ეკლესია და ე. წ. კათოლიკური პატრიოტული ასოციაცია, რომლის იერარქები ხელისუფლების მიერ წმიდა საყდართან შეუთანხმებლად ინიშნებიან და პაპის ავტორიტეტს არ აღიარებენ.

ურთიერთობები ჩინეთის კათოლიკეთა ორ გაერთიანებას შორის საგრძნობლად დაძაბულია. როგორც აღნიშნა ამა წლის მარტში გარდაცვლილმა ჩინეთის იატაკქვეშა ეკლესიის იერარქმა იან შუდაომ, „დღეს ჩინეთის ოფიციალურ ეკლესიასთან გაერთიანება რწმენისაგან განდგომის ტოლფასია“.

„ნათელი სოფლისა: პაპი, ეკლესია და დროის ნიშნები“

ამ სათაურით 23 ნოემბერს იტალიაში გამოქვეყნდა უწმიდესი პაპის ბენედიქტე XVI-ის ინტერვიუთა სერია. წიგნს საფუძვლად უდევს პონტიფექსის საუბრები ჟურნალისტ პეტერ ზეევალდთან. ამა წლის 26-31 ივლისს გამართულ ინტერვიუთა მსვლელობისას, ჟურნალისტმა ბენედიქტე XVI-ს 90 შეკითხვა დაუსვა. ინტერვიუთა საერთო ხანგრძლივობა 20 საათს შეადგენს.

სამას გვერდიანი წიგნი პაპის პიროვნებას წარმოგვიდგენს. იგი გულახდილად აღიარებს, რომ ცნობას წმიდა პეტრეს ტახტის მემკვიდრედ არჩევის შესახებ არ აღუფრთოვანებია. მას წმიდა საყდრის ბიბლიოთეკების მცველის თანამდებობა ხიბლავდა. „მაგრამ უფალმა სხვა სარბიელი განმიმზადა“, – აღნიშნავს ბენედიქტე XVI.

ინტერვიუში უწმიდესი პაპი ბევრ მწვავე საკითხს შეეხო: ეკლესიის დამოკიდებულება კონტრაცეფციისადმი, სკანდალები პედოფილი მღვდლების გარშემო, ცელიბატისა და ქალთა ხელდასხმის პრობლემები, ჰოლოკოსტის უარყოფა, განხეთქილებათა საშიშროება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ამ ორი ადამიანის, როგორც ინტერვიუერისა და რესპოდენტის პირველი შეხვედრა. პეტერ ზეევალდი კარდინალ იოზეფ რაცინგერს პირველად 1992 წელს შეხვდა. ამას შემდგომში კიდევ ერთი ინტერვიუ მოჰყვა. ოდინდელი შეხვედრის შემდეგ, ყოფილმა კომუნისტმა პეტერ ზეევალდმა კათოლიკობა მიიღო.

წიგნის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე, მას-მედიის საშუალებათა მიერ გაჟღერებული რამდენიმე ნაწყვეტი აჟიოტაჟის მიზეზი გახდა. „პაპმა გადახედა თავის დამოკიდებულებას პრეზერვატივებისადმი“, „ბენედიქტე XVI პრეზერვატივების გამოყენებას ამართლებს“, – ამგვარი სათაურები ამშვენებს უამრავი გამოცემის გვერდებს.

ზეევალდის შეკითხვას, თუ რა იგულისხმა პაპმა, როდესაც 2009 წელს, აფრიკაში, განაცხადა, რომ პრეზერვატივი შიდს-ის პრობლემას ვერ გადაწყვეტს, ბენედიქტე XVI-მ უპასუხა: „ზოგადი განცხადებები პრეზერვატივებთან დაკავშირებით არ გამიკეთებია. უბრალოდ აღვნიშნე, რომ პრეზერვატივების გავრცელებით ამ პრობლემას ვერ გადავწყვეტთ. პრეზერვატივი რაღაც აკვიატებულ იდეად იქცა და ამ იდეას სექსუალობის ბანალიზაციისკენ მივყავართ. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, თუკი ადამიანი პროსტიტუციას ეწევა, პრეზერვატივის გამოყენების გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს პირველი ნაბიჯი ზნეობრივი ცხოვრებისკენ. ეს ერთგვარი პასუხისმგებლობის მიღებაა, გაცნობიერება იმისა, რომ ყველაფერი როდია ნებადართული, რომ ადამიანს არ შეუძლია, აკეთოს მხოლოდ ის, რაც სურს. მაგრამ ეს არ არის შიდს-თან ბრძოლის ხერხი. არაეკლესიურ გარემოში ამ სენისგან თავდასაცავად განსაკუთრებული ფორმულა გამოიყენება: „თავშეკავება – ერთგულება – პრეზერვატივი“. შიდსთან ბრძოლაში გადამწყვეტია ამ ფორმულის პირველი ორი ელემენტი, მესამე კი გამოიყენება მაშინ, როდესაც პირველი ორი არ არსებობს“.

სულ ეს იყო. პაპმა უბრალოდ დახატა სიტუაცია, რომელშიც პრეზერვატივი ნაკლებ ბოროტებად წარმოგვიდგება, როდესაც იგი მხოლოდ მცირე ნაბიჯია სექსუალური პასუხისმგებლობისაკენ. 1968 წელს თავის ენციკლიკაში Humanae Vitae პაპმა პავლე VI-მ დაგმო ყოველგვარი კონტრაცეფციის, მათ შორის პრეზერვატივის, გამოყენება. თავისი პოზიცია კათოლიკე ეკლესიას არც 1981 წლის შემდეგ შეუცვლია, როდესაც კაცობრიობა შიდს-ის პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.

ბენედიქტე XVI-ის მესამე კონსისტორია

ამა წლის ნოემბერში უწმიდესმა პაპმა კონსისტორია მოიწვია. საბჭოში ასზე მეტი კარდინალი მონაწილეობდა. ყველა კარდინალი (ამჟამად მათი რიცხვია ას სამოცდაცხრამეტი) ჩვეულებრივ მხოლოდ კონკლავზე იკრიბება. მას-მედიის საშუალებებმა ამ შეხვედრას „წინასწარი კონკლავი“ უწოდეს, რადგან, სავარაუდოდ, მასზე 83 წლის პაპის მემკვიდრის კანდიდატურაც განიხილებოდა.

კონსისტორიის მონაწილეებმა განიხილეს ეკლესიის მსახურთა სექსუალურ დანაშაულებათა პრობლემა. საზოგადოებაში დღესაც სუფევს აზრი, რომ ვატიკანი ამ საკითხს სათანადო ყურადღებას არ უთმობს. გარდა ამისა, როგორც აღნიშნავს სააგენტო BBC, არის პრეტენზიები მსხვერპლთათვის გადახდილი საკომპენსაციო თანხების ოდენობასთან დაკავშირებით.

კიდევ ერთი განსახილველი საკითხი ქრისტიანთა რელიგიური თავისუფლების შელახვა იყო. კერძოდ ერაყში, სადაც ქრისტიანებზე გამუდმებული თავდასხმები ხორციელდება და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც მომავალი კათოლიკე ეპისკოპოსის კანდიდატურას არა კათოლიკე ეკლესია, არამედ ქვეყნის მთავრობა ამტკიცებს.

საბჭოთა წლებში დაღუპულ კათოლიკეთა მემორიალი

ამა წლის 28 ოქტომბერს, სანკტ-პეტერბურგში, ლევაშოვის მემორიალურ სასაფლაოზე მთავარეპისკოპოსმა პაოლო პეციმ საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკურ რეპრესიებს მსხვერპლად შეწირულ კათოლიკეთა მემორიალი აკურთხა. ლევაშოვის საძმო საფლავებში განისვენებს ათასობით კათოლიკე – მღვდლები, მონაზვნები და საერონი, რომელთაც გასული საუკუნის 30-50-იან წლებში რეჟიმმა სიკვდილი მიუსაჯა. „წამებულთა მოწმეობა ქრისტიანობის დასაბამიდან სახარების ქადაგების ყველაზე დამაჯერებელი ფორმაა. მოწამეს მქადაგებლის ნიჭი არ სჭირდებოდა, არც წმიდა წერილში განსწავლულობა, არც მსმენელთა დაპყრობა. მისი ძალა მის ერთგულებაში იყო. მხოლოდ არჩეული გზის ერთგულებას მიჰყავდა მოწამე ქრისტეს სრულ მსგავსებამდე“, – აღნიშნა თავის ქადაგებაში პაოლო პეციმ.

მოამზადა
რუსუდან ავალიშვილმა

დიდი ზეიმი ვარგავში

ვარგავის ეკლესიის დღესასწაული

ყოველი წლის 16 ნოემბერს ვარგავის კათოლიკური ეკლესიის საკრებულო აღნიშნავს სნეულთა მფარველი ღვთისმშობლის დღესასწაულს.

სამრევლო წელსაც განსაკუთრებულად ელოდა 16 ნოემბრის დადგომას, ვინაიდან ვარგავის საკრებულოს პირველად სტუმრობდა ამიერკავკასიაში წმ. საყდრის დესპანი, მთავრეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი.

ეს დღე მართლაც განსაკუთრებული იყო თავისი ხიბლითა და სილამაზით. ამინდმაც ხელი შეგვიწყო და, გვიანი შემოდგომის მიუხედავად, თბილი, მზიანი დილა გათენდა.

ვარგავის საკრებულოში მრავალი სტუმარი შეიკრიბა, ზოგი მათგანი შორეული იტალიიდან გვესტუმრა და ჩვენთან ერთად იზეიმა საკრებულოს დღესასწაული.

ტაძარში საზეიმო განწყობა სუფევდა. წმ. წირვას გაუძღვა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, კლავდიო გუჯეროტი; საინტერესო და ღრმად მნიშვნელოვანი იყო მისი ქადაგება ქალწულ მარიამის შესახებ. ტაძარი ვერ იტევდა მლოცველებს.

წმ. წირვის დასრულების შემდეგ, მადლობა გადავუხადეთ ყველა სტუმარს, განსაკუთრებით კი მთავარეპისკოპოსს, სტუმრობისა და იმ სიყვარულის გამო, რომელიც მან ჩვენს მიმართ გამოიჩინა. ვარგავის სამრევლოს სახელით, სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად, ნუნცს მცირე საჩუქარი გადავეცით.

ბოლოს სტუმრებს დავემშვიდობეთ და კეთილი მგზავრობა ვუსურვეთ. ღვთისმშობელი გფარავდეთ ყველას!

მარეხი ლაზარაშვილი

სიყვარულის, ზრუნვისა და ემპათიის 15 წელი

„საქართველოს კარიტასი„ კათოლიკური ეკლესიის საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში 1994 წლიდან ფუნქციონირებს და ეხმარება ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე ღარიბ და სოციალურად დაუცველ ფენებს. მის მესვეურთა მიზანია, ჩამოყალიბდეს ისეთი ქართული საზოგადოება, სადაც დაცული იქნება თითოეული ადამიანის ღირსება და მათი ძირითადი უფლებები; რომ ქვეყანაში სუფევდეს მშვიდობა, სამართლიანობა, გულმოწყალება და სოლიდარობა, საერთო-საზოგადოებრივი ინტერესები პირადულზე მაღლა იდგეს. აქედან გამომდინარე, „საქართველოს კარიტასი“ ცდილობს სოციალური სამართლიანობის დაცვას, გაჭირვებული ადამიანებისათვის ხელის გამართვას, მათი ღირსებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას.

დასახული მიზნისკენ სწრაფვა ყველაზე ნათლად „საქართველოს კარიტასის“ მიერ განხორციელებულ პროექტებში აისახება, სადაც ოთხი ძირითადი პროგრამა იკვეთება:

- ჯანდაცვა და სოციალური დახმარება;
- ბავშვები და მოზარდები;
- განვითარება;
- გადაუდებელი დახმარება.

„საქართველოს კარიტასმა“, დაარსების დღიდან, მრავალი პროექტი განახორციელა, რომელიც ყველაზე გაჭირვებულ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ ხალხს დაეხმარა. ესენი არიან მარტოხელა, უმწეო მოხუცები, უპატრონო და უსახლკარო ბავშვები, სნეულნი და ხეიბარნი, იმედგაცრუებული,

რწმენადაკარგული ადამიანები, უმუშევრები, ყველანი, ვინც სოციალურად დაუცველია, მიუხედავად მათი ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილებისა.

2010 წელს „საქართველოს კარიტასის“ სამედიცინო-სოციალური პროგრამის ამოქმედებიდან 15 წელი შესრულდა. ამ დღესთან დაკავშირებით, 17 ნოემბერს, „თბილისი მერიოტში“ კონფერენცია გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიგი წერეთელი, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე, ჯანდაცვის სფეროში მომუშავე გავლენიანი პირები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ვატიკანის ელჩი, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, „საქართველოს კარიტასის“ პრეზიდენტი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო და „საქართველოს კარიტასის“ თანამშრომლები.

კონფერენციაზე მონს. ჯუზეპე პაზოტომ ქართულ ენაზე ძალზედ მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოთქვა. მიღებაზე მოსულმა სტუმრებმა გაიხსენეს, როგორ იწყებოდა „საქართველოს კარიტასის“ სამედიცინო–სოციალური პროგრამა და რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი ქვეყნის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. „საქართველოში, მართლმადიდებლურ ქვეყანაში, კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციის ღირსეული მოღვაწეობა ძალიან კარგი მაგალითია, თუნდაც რელიგიათაშორისი თვალსაზრისით, მაგრამ ყველაფრის საფუძველი მაინც ჩვენი ხალხია და ჩვენ მადლობელი ვართ კარიტასისა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ეხმარება და ხელს უწყობს ამ ქვეყნის განვითარებას“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, გიგი წერეთელმა. მიღებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პირველი ლედი, ქ-ნი სანდრა ელისაბედ რულოვსი, მიხეილ ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, დავით ზურაბაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამირან ანთაძე, პოლიტოლოგი სიმონ მასხარაშვილი და სხვა სტუმრები, რომლებმაც „საქართველოს კარიტასის“ პერსონალს მადლობა გადაუხადეს 15 წლის განმავლობაში გაწეული სამსახურისათვის.

„საქართველოს კარიტასის“ სამედიცინო და სოციალური პროგრამის ოფიცერი – **ლევან ქარუმიძე**

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ბათუმში

2010 წლის 30-31 ოქტომბერს, ბათუმში, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტში, ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელთა თაოსნობით, ჩატარდა ბათუმის წარსულისა და თანამედროვეობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ისე თბილისიდან და გორიდან ჩამოსულმა მეცნიერებმა, აგრეთვე, ახალგაზრდა ამერიკელმა მეცნიერმა, პატრიკ თენდელმა, რომელმაც ქართულ ენაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ჩემი თვალით დანახული ბათუმი“.

სხდომა ორ სექციად ჩატარდა: ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის; არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, კულტუროლოგიისა და ეკონომიკის სექციებად.

ბათუმის კათოლიკური ეკლესიიდან კონფერენციაში მონაწილეობას ვღებულობდით ბ-ნი ვაჟა ბაღოშვილი და მე – ამ წერილის ავტორი. რადგანაც კათოლიკეები ბათუმის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, ინსტიტუტის წარმომადგენელთა თხოვნით, კონფერენციისთვის მოვამზადე თემა – „კათოლიკური საკრებულო ბათუმში (წარსული და თანამედროვეობა)“. მასალების შეგროვებაში დი-

დი დახმარება გამიწია ბ-ნმა ვაჟა ბაღოშვილმა. მანვე მოამზადა ნაშრომის რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. ნაშრომი, კონფერენციაზე წარდგენილ მოხსენებებთან ერთად, დაიბეჭდება ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ წიგნში „ბათუმი-2“.

კონფერენციის მსვლელობისას, მოხსენება გავაკეთე აღნიშნულ თემაზე, მასში გავაშუქე ბათუმის კათოლიკური საკრებულოს ცხოვრება XIX საუკუნის ბოლოდან დღემდე. მოხსენებაში ჩავრთე ახლად მოძიებული მასალები ქართველი კათოლიკე მოქანდაკისა და ფერმწერის, სერაფიმ პოლოლიკაშვილის შესახებ, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და მუშაობდა ბათუმში. იგი 1918 წელს აჭარაში შემოჭრილმა თურქთა რაზმმა დაატყვევა და, სხვა გამოჩენილ ორმოცდაათ ქართველთან ერთად, აჭარისწყლის პირას დახვრიტა. სამწუხაროდ, ცნობები მის შესახებ გვიან მომაწოდეს და წიგნში მისი შეტანა ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ ცნობები სერაფიმ პოლოლიკაშვილზე ქუთაისიდან მომაწოდა ბ-ნმა კოტე ოცხელმა, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ მისი.

ჩემმა მოხსენებამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რამდენიმე მათგანმა პირადად მადლობაც კი გადამიხადა. აღნიშნეს, რომ ბათუმელ კათოლიკეთა შესახებ ცნობების თავმოყრა და გაშუქება პირველი შემთხვევაა.

კონფერენციამ თბილ, საქმიან და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მისასალმებელია, რომ არიან ადამიანები, მეცნიერები, რომლებიც ინტერესდებიან ქართველი კათოლიკეების ცხოვრებით და, ზოგიერთებისგან განსხვავებით, არ ცდილობენ, გააყალბონ ქვეყნის ისტორია; ისინი სიმართლეს ემსახურებიან. ჩემი აზრით, ეს მეცნიერისა და ისტორიკოსის უპირველესი მოვალეობაა.

„საბას“ საშუალებით, მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონებს: მალხაზ სიორიძეს და ოლეგ ჯიბაშვილს, საინტერესო კონფერენციისა და იმ ყურადღებისათვის, რაც მათ გამოიჩინეს ბათუმელი კათოლიკეების მიმართ.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი

P.S. რედაქცია საჭიროდ თვლის, რომ უფრო ვრცელი ინფორმაცია მიაწოდოს „საბას“ მკითხველს სტატიაში მოხსენიებული ცნობილი ქართველი კათოლიკე მოქანდაკისა და ფერმწერის, სერაფიმ პოლოლიკაშვილის შესახებ. ამ მიზნით, მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს სტატიიდან, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს კათოლიკეში“ (1994 წ., დეკემბერი, №9, გვ.7), და რომლის ავტორიც, ცისანა ვარდოსანიძე გვიამბობს ამ ნიჭიერი ხელოვანის შესახებ:

„ჭეშმარიტად დასაფასებელი ხელოვანი გახლავთ სერაფიმ პოლოლიკაშვილი, კაცი, ვინც პირველმა გამოძერწა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ბიუსტი. ქართული სკულპტურის განვითარების გზაზე ეს დიდი მოვლენა გახლდათ...

აი, ერთ მშვენიერ დღეს ქალაქი შესძრა ცნობამ იმის შესახებ, რომ ქუთაისელმა მოქანდაკემ სერაფიმ პოლოლიკაშვილმა, პირველმა ქართველთა შორის, გამოძერწა შოთა რუსთაველის ბიუსტი. თვითმხილველთა მოგონებიდან ირკვევა, რომ ატელიე, რომელიც რიონისპირა სახლის სამ ოთახში იყო მოთავსებული (ხელოვანს მამიდამ აჩუქა სახელოსნოდ), გაივსო ქუთაისის საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებით. ყველას უნდოდა, ენახა შოთა რუსთაველის ბიუსტი – დიდი მოვლენა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ეს მოხდა 1897 წელს... შემდეგ მოქანდაკემ მრავალი ბიუსტი ჩამოასხა და სულ მალე, მთელ ქუთაისს მოეფინა ეს მშვენიერი ბიუსტი.

იმ ხანებში, როგორც მკვლევარ ი. ჯავახიშვილის საინტერესო სტატიიდან ირკვევა, ქუთაისს დიდი ილია სწვევია, მისთვის საგანგებოდ უჩვენებიათ ს. პოლოლიკაშვილის ნაწარმოები და, რაკი ძალიან მოსწონებია, ავტორს უჩუქებია რუსთაველის ბიუსტი ილიასთვის. დიდი პოეტის ბიუსტმა საგურამოში დაიდო ბინა.

სერაფიმ პოლოლიკაშვილი საყურადღებო ფიგურას წარმოადგენდა იმდროინდელ ხელოვანთა შორის. მას ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა და ლადო მესხიშვილის ფერწერული პორტრეტები. ის ჩუქურთმებით ამკობდა ქუთაისისა და ბათუმის კათოლიკური ეკლესიების ფასადებს, საზოგადოებრივი დანიშნულების გამორჩეულ სახლებს...


სერაფიმ პოლოლიკაშვილ

სერაფიმ პოლოლიკაშვილს განათლება მიუღია ოდესაში... ოდესამ ბევრი მისცა ნიჭიერ ახალგაზრდას. მისი თვითნასწავლი მხატვრობა პროფესიონალიზმის კალაპოტში მოექცა, ღრმად ჩაახედა სახვითი ხელოვნების ისტორიასა და საიდუმლოებებში...

დარჩა ფერწერული ტილოები, დარჩა შოთა რუსთაველის ბიუსტი, დარჩა ჩუქურთმები, დარჩა სახელი ღირსეული და ნიჭიერი მამულიშვილისა, რომელიც შეუძლებელია, მადლიერების გრძნობით არ მოიხსენიოს შთამომავლობამ“.

12 დეკემბერი – გვადალუპეს ღვთისმშობლის დღესასწაული

გვადალუპეს ნეტარი ქალწული მარიამი

(სურათი გარეკანზე)

ოც მილიონზე მეტი მომლოცველი ჩადის ყოველწლიურად მექსიკაში, რათა მოინახულოს ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მცხოვრებთა, და ზოგადად, მთელი კათოლიკური სამყაროს, უსაყვარლესი ადგილი: ჩვენი დედუფლის – გვადალუპეს წმიდა მარიამის სავანე. აქ ნებისმიერი რასისა და წრის მომლოცველებს შეხვდებით; ისინი მიდიან ლოცვა-ვედრებით, ფეხით თუ ველოსიპედით, ხშირად რამდენიმე დღეც უნდებიან იქ ჩასვლას.

„Virgen Morena“-ს (შავგვრემანი ქალწული) გამოცხადებამ, რომელიც XVI საუკუნეში ვინმე ინდიელ გლეხს, ხუან დიეგოს ეჩვენა, იმდენად ღრმა კვალი დაამჩნია მექსიკურ კულტურასა და რელიგიურ ტრადიციას, რომ მისი წყალობით, საუბარი დაიწყო „ინკულტურაციაზე“.

ბაზილიკა, სადაც ამჟამად სასწაულებრივი ხატი ინახება, 1976 წელს ეკურთხა.

მაინც რა მოხდა იმ შორეულ წარსულში, XVI ს-ის მექსიკაში? ლათინური ამერიკის კონტინენტზე ესპანელების შესვლას აბორიგენთა ხანგრძლივი აგონია მოჰყვა. 1521 წლის 13 აგვისტოს, როდესაც ტენოქტიტლანი, აცტეკების დიადი დედაქალაქი განიძარცვა და მთლიანად განადგურდა, შეიძლება ითქვას, რომ ინდიელ ტომთა ცივილიზაციის მზე ჩაესვენა. ამ საშინელ ტრაგედიას თან სდევდა ესპანელთა მხრიდან მექსიკის დაპყრობა, რამაც, ერთი მხრივ, აცტეკების სამეფოს სრული დაცემა და, მეორე მხრივ, ახალ კულტურასთან და ცივილიზაციასთან მათი შერწყმა, ყოველივე ამან კი დამარცხებული და გამარჯვებული ხალხის აღრევა გამოიწვია.

ამ ამბებიდან ათი წლის შემდეგ, მექსიკის ქალაქის გარეუბანში, ერთ ღატაკ ინდიელს, ხუან დიეგოს ღვთისმშობელი გამოეცხადა: 1531 წლის 9 დეკემბრის დილას, ხუან დიეგო, რომელსაც ქალაქში ჩასაღწევად ტეპეიაკის გორაკები უნდა გაევლო, ჩიტების გასაოცარი ჟღურტულით გაერთო და, ანაზდად, მან იხილა უსათნოესი ქალბატონი, რომელიც მას სახელით მიმართავდა. ქალბატონმა მას გაუმხილა, რომ იგი „მარად სრულქმნილი ქალწული მარიამია, დედა ერთი და ჭეშმარიტი ღმერთისა“; მან ურჩია ინდიელს, წასულიყო ეპისკოპოსთან და აეხსნა მისთვის, რომ ამ გორაკის ძირში ტაძრის აგება სურდა. ხუან დიეგო დაუყოვნებლივ გაეშურა ეპისკოპოსთან, თუმცა მისი სიტყვა არავინ ირწმუნა. მწუხრის პირს, უკანა გზაზე, ხუან დიეგო გორაკზე ისევ შეხვდა ქალწულ მარიამს და თავისი წარუმატებელი ვიზიტის შესახებ მოახსენა, თანაც სთხოვა, რომ მისთვის თავიდან აეცილებინა ასეთი დავალება, რამეთუ უღირსად მიაჩნდა თავი. ქალწულმა კი ურჩია, მომდევნო დღესაც მისულიყო ეპისკოპოსთან იგივე თხოვნით. ასეც მოხდა. ეპისკოპოსმა ხუან დიეგოს მრავალი კითხვა დაუსვა იმ ადგილისა და თავად ხილვის შესახებ, ბოლოს კი გამოცხადების დამადასტურებელი რაიმე ნიშანი მოითხოვა; ქალწული ხუან დიეგოს დაპირდა, რომ მომდევნო დღისთვის მისცემდა ნიშანს. თუმცა მომდევნო დღეს ხუან დიეგომ დაბრუნება ვეღარ შეძლო, რადგან მისი ბიძა, ხუან ბერნარდინო, ავად გახდა და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეორე დღეს, სისხამ დილით, იგი ტლატელოლკოში გაგზავნეს მღვდლის მოსაყვანად, რათა მომაკვდავი ეზიარებინა. როდესაც ხუანი ტეპეიაკის გორაკებს მიადგა, მისთვის გვერდის ავლა გადაწყვიტა, რათა ღვთისმშობელთან შეხვედრას მორიდებოდა, მაგრამ ქალწული მის წინაშე წარდგა და მწუხარების მიზეზი გამოჰკითხა. ხუან დიეგო მუხლებზე დაემხო და პატიება ითხოვა, რადგან, მომაკვდავი ბიძის გამო, დაკისრებული დავალება ვერ შეასრულა. ქალბატონმა იგი დაამშვიდა და აუწყა, რომ ბიძა უკვე განკურნებულიყო; შემდეგ გორაკზე ასვლა და იქ ყვავილების დაკრეფა ურჩია. ხუან დიეგო გორაკის მწვერვალზე ავიდა და, მისდა გასაოცრად, ულამაზესი ვარდები იხილა: 12 დეკემბერი იდგა, მაშინ, ჯერ კიდევ მოქმედი იულიუსის კალენდრის მიხედვით, ზამთარი იყო. არც წელიწადის დრო, და არც ხრიოკი ადგილი არ იძლეოდა არანაირ პირობას ასეთი მშვენიერი ყვავილების გასახარებლად. ხუან დიეგომ ლამაზი თაიგული შეკრა და ქალწულს მიართვა, მან კი ურჩია, რომ ეპისკოპოსისთვის მიეტანა ისინი, გამოცხადების ჭეშმარიტების დასტურად. ხუან დიეგო ღვთისმშობელს უსიტყვოდ დაემორჩილა: როცა ეპისკოპოსის წინაშე მან თავისი მოსასხამის კალთები გადაიხსნა, მოულოდნელად, ყველას თვალწინ, მასზე წმიდა ღვთისმშობლის სახე აღიბ-

ლოცვა გვადალუპეს ღვთისმშობლისადმი

გვადალუპეს კურთხეულო ქალწულო,
მსოფლიოს ყველა მოყვასის სახელით შეგთხოვთ,
რათა გვაკურთხო და დაგვიცვა ჩვენ,
გვიბოძე ნიშანი შენი სიყვარულისა და სიკეთისა,
და მიითვალე ჩვენი ლოცვა-ვედრება.
ჰოი, უწმიდესო გვადალუპეს ქალწულო!
გამოითხოვე შენი ძისაგან მოტევება
ჩვენთა ცოდვათა
და კურთხევა ჩვენი საქმიანობისა;
მალამო ჩვენი სნებისა და არსებობისათვის,
და ყოველივე, რასაც ჩათვლი საჭიროდ,
ჩემი ოჯახისათვის.
ჰოი, წმიდა ღვთისმშობელო,
ნუ უგულებელჰყოფ შენდამი ვედრებას,
რასაც ჩვენი საჭიროებისათვის შეგთხოვთ. ამენ.

მათეს სახარება

ყოველი ლიტურგიული წელიწადის განმავლობაში, რიგითი დროის საკვირაო წირვებზე, იკითხება ერთ-ერთი, ე.წ. სინოპტიკური სახარება. ბერძნული წარმომავლობის სიტყვა „სინოპტიკური“ ნიშნავს ერთიან ხედვას. სამივე სინოპტიკურ სახარებას (მათე, მარკოზი, ლუკა) გააჩნია ერთიანი ხედვა იესო ქრისტეს ცხოვრებასა და მოძღვრებაზე. საკითხავები განაწილებულია ლიტურგიული წლების მიხედვით: A წლებში იკითხება მათეს სახარება, B წლებში – მარკოზის, ხოლო C წლებში – ლუკასი. იოანეს სახარება იკითხება მარხვისა და აღდგომის პერიოდებში. 2011 წელი – A წელია, სწორედ ამიტომ წაკითხული იქნება მათეს სახარება. „წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი“ (მათე, 28, 19) მათეს სახარება არის პირველი, რომელიც ადრექრისტიანულ ეკლესიაში აღიარებულ იქნა სულიწმიდის მიერ შთაგონებულად. ძალზე მნიშვნელოვანია სახარების ფინალური ეპიზოდი: აღმდგარი ქრისტე, უკვე გამარჯვებული, ეუბნება მოციქულებს“... მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ზეცასა და მიწაზე. ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით. ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. აჰა, მე თქვენთანა ვარ დღენიადაგ საუკუნის დასასრულამდე. ამინ“ (28, 18-20). სწორედ ამ მოწოდების აღსასრულებლად მათემ და მისმა თანამოაზრეებმა დაწერეს ეს სახარება.

ახლად მოქცეულთა შეგონება

მათეს სახარებას შეიძლება ვუწოდოთ კატეხიზმო. ყოველი სიტყვა იმისკენაა მიმართული, რომ თითოეული ჩვენთაგანი გახდეს მოწაფე, რომელიც დაიცავს და თავისი ცხოვრებით განახორციელებს იმას, რაც იესომ გვამცნო და გვასწავლა. მათეს სახარებაში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება იესოს მოძღვრებას. იესოს ხუთი სიტყვა — **ქადაგება მთაზე, სიტყვა მისიის შესახებ, იგავები, სიტყვა ეკლესიის შესახებ, ესქატოლოგიური სიტყვა** (განმარტებები იხ. ქვემოთ) — მათემ გარკვეული თანმიმდევრობით გადმოგვცა, რითაც სახარებამ „კატეხიზმოს“ სახე მიიღო. პირველი საუკუნის დამლევს, არსებობდა ტრადიცია, რომელმაც შემოინახა იესოს გამონათქვამები. მათემ, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, გააერთიანა ეს ტექსტები იესოს ხუთ დიდ სიტყვაში. მათე მოგვითხრობს იესოს მსახურებასა და სასწაულებზე, რათა უკეთ გავიგოთ მისი მოძღვრების არსი.

ეკლესია

მათეს სახარება ეკლესიის სახარებაცაა: ქრისტე მარად ჩვენთან არს, თავის მოწაფეებს შორის, „ყოველთა დღეთა ჩვენთა“, და როგორც თავად აღგვითქვა „... სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ შორის“. იგი შთააგონებდა მოციქულებს, მათ მემკვიდრეებს და დღესაც სიცოცხლეს ანიჭებს ეკლესიას, და ასე იქნება „უამთა აღსასრულამდე“.
მათეს სახარებაში მკაფიოდ იკვეთება პეტრეს როლი, იესომ უთხრა მას: „შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევენ ჯოჯოხეთის ბჭენი“ (16, 18).

წერილის აღსრულება

მნიშვნელოვანია აგრეთვე სახარების შესავალი ნაწილი. დასაწყისში საუბარია იესოს წარმოშობაზე, შობასა და ყრმობის პერიოდზე, მაგრამ მათეს მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ ამ ინფორმაციის გადმოცემა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იოსების ოთხ სიზმარზე. ეს გვაგონებს სხვა იოსების, იაკობის ძის, ისტორიას, რომელმაც სიზმრების ახსნით ფარაონის ნდობა დაიმსახურა. ყოველივე ეს გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი თავისი ერის ისტორიაში და არასდროს სტოვებს მას განსაცდელში. იესოს წარმომავლობა, უფლის ანგელოზის მიერ იოსებისთვის იესოს შობის შესახებ უწყება, ყრმათა ამოჟლეტა, გაქცევა ეგვიპტეში – ამ ეპიზოდების გადმოცემით მათე გვიჩვენებს, რომ იესოში აღსრულდა წმიდა ისტორია. ავტორი მრავალგზის იმეორებს სიტყვებს: „...რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი“ (2, 23), „მოვიდა, რათა აღსრულებულიყო წერილი.“

მათეს იესო – ახალი წინასწარმეტყველია, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის ერს, მასში აღსრულდა ძველი აღთქმა და სწორედ ეს ანიჭებს ძველ აღთქმას ჭეშმარიტ საზრისს.
ისრაელი მესიის მოლოდინში იყო, მაგრამ იესოში მესია ვერ ამოიცნო. შორეული ქვეყნებიდან მოსულმა მოგვებმა თაყვანი სცეს მას, ხოლო ჰეროდე მოსაკლავად ეძებდა ღმრთის მიერ მოვლენილ ყრმას. ჰეროდე მასში ხედავდა საშიშ მეტოქეს. თანდათან იკვეთება ქრისტეს მიწიერი ცხოვრება, მესიის, რომელიც უარყო თავისმა ხალხმა და იმ დროის მთავრებმა სასიკვდილოდ გაწირეს. მაგრამ მკვდრეთით აღმდგარმა იესომ აღასრულა ზეციური მამის ნება.

ცათა სასუფეველი

რისთვის მოვიდა ამ სოფლად აღთქმული მესია? მოვიდა, რათა ეუწყებინა და დაემკვიდრებინა ცათა სასუფეველი. „ცათა სასუფეველი“ – ამ სიტყვებს ხშირად იმეორებს იესო მათეს სახარებაში. „სასუფეველთან“ მიმართებაში ავტორი იყენებს სიტყვას „ცათა“, ხოლო ლუკა და მარკოზი „ღმრთის სასუფეველზე“ საუბრობენ. „სასუფეველი“ არ წარმოადგენს კონკრეტულ ადგილსამყოფელს, ან შორეულ სამყაროსა თუ რაიმე სამეფოს, არამედ არის ჭეშმარიტი რეალობა, ღმერთის მყოფობა აწმყოში, ჩვენს შორის (შდრ. 18, 20). სწორედ ამის შესახებ საუბრობს იესო იგავებში და ადარებს სასუფეველს მდოგვის მარცვალს თუ საფუარს, მინდორში დაფარულ განძს თუ მებადურთა ბადეს. იესო ქადაგებს ცათა სასუფევლის ბოლოჟამისეულ აღსრულებას, როდესაც ზეციური მეუფე მოიწვევს დახსნილთ მარადიულ ნადიმზე. ჯვარზე სიკვდილით იესო ქრისტემ გაგვიხსნა გზა, რომელსაც ცათა სასუფეველში შევყავართ.

სახარების გეგმა

როგორც უკვე აღინიშნა, მათესთვის ძალზე მნიშვნელოვანია ახლად მოქცეულთა დამოძღვრა, აქედან გამომდინარე, მისი სახარების სტრუქტურა მარტივია, მკაფიოდ გამოხატული. სახარების გეგმა შეიძლება ქრისტიანული ტაძრის გეგმას შევადაროთ:

1. საფეხურები, რომლებსაც ტაძრის შესასვლელთან მივყავართ – იესოს წარმომავლობაა, სადაც აისახა ისრაელის მთელი ისტორია.

2. ტაძრის კარიბჭე – იესოს ყრმობის ეპიზოდებია, რომლებიც გვაგონებს ისრაელიანთა ხსნის ისტორიას და ცათა სასუფევლის მოლოდინში მყოფ უფლის ღატაკთა უბრალო ცხოვრებას.

3. ტაძრის ნავში შემავალი კარი – იესოს ნათლობაა იოანეს მიერ. გახსნილი კარი შეიძლება შევადაროთ გახსნილ ცას, როდესაც იესომ მამისაგან მიიღო „პატივი და დიდება“: „ ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“. ამიერიდან იწყება იესოს საჯარო მსახურება.

4. ტაძრის მთავარი სივრცე (ნავი) – სახარების ძირითადი ნაწილია. იესოს ხუთი სიტყვა, როგორც ნავის ხუთი მთავარი საყრდენი, გარკვეულ რითმს ქმნის. ყოველი სიტყვა სრულდება რეფრენით: „როცა იესომ დაასრულა ეს სიტყვები“, და ბოლოს –“ყველა ეს სიტყვა რომ დაასრულა“. იესოს ხუთი სიტყვა, სადაც გადმოცემულია მისი მოძღვრება, შემდეგ თემებს მოიცავს:

— ქადაგება მთაზე (5-7) იწყება თორმეტი ნეტარების განმარტებით, რაც სახარებისეული ცხოვრების საფუძვლებს გვასწავლის – სრულყოფილების ძიებას ჭეშმარიტ სიყვარულში, რაც მოსეს რჯულს განუზომლად აღემატება.

— სიტყვა მისიის შესახებ (10) საფუძველს უყრის იესოს ბოლო სიტყვებს: „წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი...“. ყოველი ქრისტიანი მისიონერია, რაც ქრისტიანული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს. ჭეშმარიტი სიყვარული იმაში მდგომარეობს, რომ ყველას უნდა გადასცე იესოს მოძღვრება. ქრისტიანს არ უნდა ამოძრავებდეს მხოლოდ თავისი რელიგიური ჯგუფის გაფართოების სურვილი, იგი უკლებლივ ყველას გადარჩენისთვის უნდა იღვწოდეს. თუ ვინმეს გააჩნია

გამბედაობა, გახდეს ქრისტეს უწყების მოწმე, ის, მიუხედავად დევნისა, მარად აღვსილი უნდა იყოს უფლისადმი უსაზღვრო ნდობით.
— იგავები (13). ეს სიტყვა წარმოგვიდგენს ღმრთის მეუფებას, როგორც სამყაროში მოქმედ, გარდამქმნელ, უხილავ ძალას. იესო მოგვიხმობს, ბოლომდე მივენდოთ ყოვლისმომთმენ და უსასყიდლო, ჭეშმარიტ სიყვარულს, რომელსაც ყოველივეს გარდაქმნა ძალუძს. იესო იყენებს ყოველდღიური ცხოვრების სახეებს, ელაპარაკება ხალხს მათ ენაზე და მისი სიტყვები ყოველი ადამიანისთვის გასაგები ხდება. ვისაც გახსნილი გული აქვს – ყველაფერს იგებს, ხოლო ვისაც საკუთარი თავის შეწუხება არ სურს – თვალთმაქცობს, ან უბრალოდ ივიწყებს...
— სიტყვა ეკლესიის შესახებ (18) გვაძლევს სახარებისეული ძმური ურთიერთობის „გასაღებს“, გვასწავლის მოკრძალებას, მიტევებას, ძმებისა და დების პატივისცემას, ლოცვას... თუ ვინმეს არ ძალუძს სხვა ადამიანის პატიება, როგორღა წარმოუდგენია საკუთარი თავი ღატაკად, პატარა არსებად, ცოდვილად, სხვის მიერ მიტევებულად? რაც უფრო თავმდაბალია ადამიანი, დღესაც მით უფრო მეტად უახლოვდება ცათა სასუფეველს: „...თუ არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“ (18, 3).
— ესქატოლოგიური სიტყვა (24-25). სახარების შექმნის პერიოდში, ცხადია, ტაძარი უკვე დანგრეული იყო, მაგრამ ტაძრის დანგრევის თემა მათემ დაუკავშირა ბოლოჟამინდელ სამსჯავროს, რომელსაც ვერავინ დააღწევს თავს. როდესაც მოვა ძე კაცისა, განიკითხავს თითოეულ ადამიანს მისი საქმეების მიხედვით.
5. იესოს სიტყვები ჩვენთვის, ყველა დროის მორწმუნეთათვისაა განკუთვნილი. უფლის სიტყვებს შორის თხრობითი ეპიზოდებია ჩართული, სადაც აღწერილია იესოს მსახურება. ამ ეპიზოდებით მათე ნიადაგს ამზადებს იესოს ყოველი მომდევნო სიტყვისთვის. უდაბნოში იესოს გამოცდისა და მოწაფეთა მოხმობის ეპიზოდები წინ უსწრებს ქადაგებას მთაზე, ხოლო ათი სასწაული – სიტყვას მისიის შესახებ; ფარისევლებთან კამათის ეპიზოდი ჩართულია იგავების საზრისის უკეთ გაგებისთვის; პურის გამრავლებისა და პეტრეს მიერ აღიარების ეპიზოდები წინ უძღვის სიტყვას ეკლესიის შესახებ; იერუსალიმში შესვლას, ვაჭართა განდევნას, ფარისეველთა და მწიგნობართა მხილებას მოჰყვება წინასწარმეტყველება ტაძრის დანგრევაზე და ესქატოლოგიური სიტყვა.
„სახარების ტაძრის“ ხუთი მალა წარმოადგენს იესოს მიერ გაცხადებული სახარების ხუთ ასპექტს, რომლებსაც მივყავართ ვნებათა ეპიზოდამდე.
6. იესოს ხუთი სიტყვის შემდეგ, მივემართებით ტაძრის საკურთხევლისკენ, რომელიც განასახიერებს **ქრისტეს ვნებებს** (26-27). ამას წინ უძღვის ევქარისტიის დადგინებისა და გეთსიმანიის ეპიზოდები. ქრისტეს ვნებანი წარმოდგენილია, როგორც წერილის სრული აღსრულება. ელეონის მთის ბაღში შეპყრობის დროს, იესო მიმართავს პეტრეს: „თავის ადგილას ჩააბრუნე მახვილი... იქნებ გგონია, არ შემეძლოს შევევედრო მამაჩემს, რომ ახლავე წარმომიდგინოს ანგელოზთა თორმეტი ლეგიონი და მეტიც? აბა, როგორ აღსრულდება წერილი, ეს რომ არ მოხდეს?“ (26, 52-54). ჯვარცმის სცენაში მრავალგზის მოიხსენიება სიტყვები ფსალმუნებიდან და ძველი აღთქმის სხვა წიგნებიდან.
7. საკურთხევლის აბსიდის განათებული, გარშემოსასვლელი (ქორო) განასახიერებს ეპიზოდს, სადაც მოთხრობილია ანგელოზის მიერ ნაუწყები აღდგომის შესახებ, აგრეთვე, აღმდგარი იესოს დედაკაცებთან შეხვედრისა და მისიის შესასრულებლად თერთმეტი მოციქულის წარგზავნის სცენებს (20). სახარების ბოლოს სრულდება ის, რაც დასაწყისში ანგელოზმა აუწყა იოსებს: „... შობს ძეს და დაარქმევ მას სახელად იესოს, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან“ (1, 21); მათეს სიტყვების მიხედვით, „ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს უფლის ნათქვამი წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: „აჰა, მუცლად-იღებს ქალწული, შობს ძეს და უწოდებენ სახელად ემანუელს,“ – რაც თარგმანით ნიშნავს: „ჩვენთან არს ღმერთი“(1, 22-23).

განსაკუთრებული ნიშნები

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მათეს სახარებაში გვხვდება სიტყვა „ეკლესია“. ავტორის მიხედვით, მორწმუნენი ქმნიან თანაზიართა წმიდა საკრებულოს, ეს არის ჭეშმარიტი ისრაელი, ღმრთის მიერ რჩეული. პეტრე და თორმეტნი პასუხისმგებელნი არიან ღმრთის ახლად შექმნილი ერის მიმართ (იხ. 16, 15-20).
მათეს სახარება განკუთვნილია ებრაელთათვის, ის მათთვის გასაგებ ენაზე საუბრობს და ხშირად მოიხსენიებს წმიდა წერილს, რჯულს. იესოს მოძღვრება აღემატება იუდეველთა რჯულს და, პირველ ყოვლისა, სიყვარულს ასწავლის. იესოს სიმართლე აღემატება მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლესაც (შდრ. 5, 20), მაგრამ ის თავად ამბობს: „არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი... არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება“ (5,17-18). იესო მოუწოდებს მოწაფეებს: „იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“ (5,48). იესოს სიტყვები: „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა... მე კი გეუბნებით თქვენ“... — ხუთგზის მეორდება მეხუთე თავში, რაც იესოს უპირატესობაზე მიუთითებს. აღდგომის შემდეგ, მორწმუნეთა ახალი ერი მოწოდებულია, გავრცელდეს მსოფლიოს კიდემდე.

მარკოზის სახარებასთან შედარებით, მათეს სახარებაში მოწაფეები ბევრად უფრო გახსნილნი არიან იესოს მოძღვრების მისაღებად. მათეს სურს, წარმოაჩინოს მათი რწმენა, როგორც მაგალითი ყველა დროის მორწმუნეთათვის.
იესო – ახალი მოსე და მესიაა. იესო აღასრულებს წმიდა წერილს თავისი მოძღვრებითა და ცხოვრებით. მოსემ თავის ხალხს გადასცა რჯული, იესომ ახალი მცნებები გვიბოძა. მას გააჩნია უზენაესი ხელმწიფება, დაგვიდგინოს ცხოვრების გზა მამის ნების თანახმად. იესო – ძე დავითისა — მესიაა, რომლის მოლოდინშიც იმყოფებოდა რჩეული ერი. იგი მოვიდა ღმრთის სასუფევლის დასამკვიდრებლად.

***

დამდეგი ლიტურგიული წელიწადი საშუალებას მოგვცემს, კიდევ ერთხელ ვეზიაროთ მათეს სახარებას და გავიაროთ იესოს სკოლა, რათა გავაცნობიეროთ, რომ ქრისტიანად ყოფნა – ცხოვრების წესია და ნიშნავს იესოს გვერდით ყოფნას „დღენიადაგ საუკუნის დასასრულამდე“ (შდრ. 28, 20).

1. საფეხურები — იესოს წარმომავლობა;
2. ტაძრის კარიბჭე – იესოს ყრმობის ეპიზოდები;
3. ტაძრის ნავში შემავალი კარი – იესოს ნათლობა იოანეს მიერ;
4. ტაძრის მთავარი სივრცე (ნავი) – სახარების ძირითადი ნაწილი; ხუთი საყრდენი, – იესოს ხუთი სიტყვა;
5. სივრცე ბურჯებს შორის – თხრობითი ეპიზოდები;
6. საკურთხეველი – ქრისტეს ვნებანი;
7. საკურთხევლის აბსიდის განათებული გარშემო სასვლელი (ქორო) – აღდგომა.

მამა პიერ დიუმულენი



ეჭდა. ამ სასწაულის მხილველი ეპისკოპოსი და ყველა იქ მყოფი მუხლებზე დაეცა. მომდევნო დღეს ხუან დიეგო ეპისკოპოსს ტეპეიაკის გორაკებისკენ გაუძღვა და ის ადგილი აჩვენა, სადაც ღვთისმშობელმა მას ტაძრის აღმართვა სთხოვა.

მას შემდეგ, კათედრალზე მოთავსებული, დაახლოებით 143 სმ სიმაღლის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც დღემდე შემონახულია, ხალხის თაყვანისცემის საგნად იქცა; ამბავი სასწაულის შესახებ ელვის უსწრაფესად გავრცელდა მექსიკის საზღვრებს გარეთაც; უკვე 1571 წელს, ვინმე ადმირალი ჯანანდრეა ხატის ასლს ფლობდა, რომელიც მას ესპანეთის მეფემ, ფილიპე II-მ უსახსოვრა. ეს ასლი მას საკუთარ გემზე ჰქონდა ლეპანტოს ბრძოლის დროს; XX საუკუნის 20-იან წლებში, მექსიკელი კათოლიკეები ანტიკლერიკალურ მთავრობას აუჯანყდნენ და მის წინააღმდეგ Virgen morenita-ს გამოსახულებიანი დროშით იბრძოდნენ.

მექსიკელი ხალხისთვის ძალზე ახლობელი გახდა ტეპეიაკის გორაკზე გამოცხადებული უნეტარესი ქალწული, ვინაიდან მას მეტისის შავგვრემანი სახე ჰქონდა და წელამდე ისეთივე შავფანტელებიან ტუნიკას ატარებდა, რომელსაც, ინდიელთა ტრადიციისამებრ, ორსული ქალები იცვამდნენ. მარიამს სათნო სახე ჰქონდა, ტანზე ვარდისფერი, ყვავილებით მოჩითული კაბა ემოსა, ზემოდან ზღვასავით ლურჯი, ოქროსფერი ვარსკვლავებით მოხატული მანტია ჰქონდა მოსხმული, რომელიც ფეხის ტერფამდე სწვდებოდა; ფეხქვეშ მთვარე ედგა საყრდენად, ზურგზე კი მზის სხივები ეფინებოდა.

ჭაბუკი ხუან დიეგო ეკლესიამ 2002 წელს წმიდანად შერაცხა.

ამ გამოცხადებიდან საუკუნეები გავიდა და დღემდე აუხსნელია, როგორ გამოისახა ტილოზე გვადალუპეს უმშვენიერესი და არაჩვეულებრივი ღვთისმშობელი: ეს ხელთუქმნელი ხატი მთელი მსოფლიოს მორწმუნეთა თაყვანისცემისა და მოწიწების საგნად იქცა და არაერთგვაროვანი კითხვები წამოჭრა მეცნიერთა წინაშე, დაახლოებით ისე, როგორც ეს წმიდა (ტურინის) სუდარის შემთხვევაში მოხდა.

გვადალუპეს ღვთისმშობლის მანტია

ამ სახეობის მანტიას ტილმას (ტილმა) უწოდებენ, ანუ ეს არის აგავას ბოჭკოსგან წარმოებული, ორი, ერთმანეთზე დაკერებული ქსოვილი. ნამდვილად დაუჯერებელია ის ფაქტი, რაც მეცნიერებმა აღმოაჩინეს: ტილმა, ყველა წესის თანახმად, 20-30 წლის შემდეგ უნდა გაცვეთილიყო!

1. ღვთისმშობლის თვალებზე ჩატარებული ოფთალმოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ სინათლის მიახლოებაზე, ორივე თვალის ბადურა იჭუტება, შემდეგ კი ფართოვდება, ზუსტად ისე, როგორც ეს ცოცხალი თვალის შემთხვევაშია.

2. მცენარის ბოჭკოვანა, რომლისგანაც შედგება მანტიას ქსოვილი, მუდმივად ინარჩუნებს 36.6 გრადუსს, ანუ ცოცხალი არსებისთვის დამახასიათებელ ტემპერატურას.

3. ერთ-ერთმა ექიმმა, რომელმაც მანტიის ანალიზი გააკეთა, თავისი სტეტოსკოპი იმ ქსოვილის ორნამენტებქვეშ მოათავსა, რომელიც მარიამის მუცელს ფარავდა და მოუსმინა გულისცემას, რომელიც რიტმულად იმეორებდა წუთში 115 დარტყმას, ზუსტად ისე, როგორც დედის მუცლად მყოფი ნაყოფი. ამასთან დაკავშირებით, შეუძლებელია არ აღინიშნოს ის, რაც საფრანგეთის ექიმთა და ექთანთა კათოლიკურმა ასოციაციამ საქვეყნოდ განაცხადა: 2007 წლის 24 აპრილს, როდესაც მექსიკაში აბორტი დააკანონეს, წმიდა წირვაზე, ათასობით ადამიანის თვალწინ, რომლებიც აბორტის მსხვერპლთა სახელებს მოიგონებდნენ, გვადალუპეს ღვთისმშობლის ხატზე მოულოდნელად გასხივოსნდა მუცლის მიდამო და მასზე ემბრიონი გამოისახა. ეს სასწაული მრავალმა იქ დამსწრემ შემოინახა ფოტოზე.

4. ქსოვილზე მხატვრული მასალის არანაირი კვალი არ შეიმჩნევა. ფაქტობრივად, თუ ხატს 10 სანტიმეტრის მანძილიდან შეხედავ, მხოლოდ უხეშ ქსოვილს დაინახავ: ფერები უჩინარდებიან. მეცნიერებმა ვერ დაადგინეს, თუ რა იწვევს ფერების (კოლორაციის) წარმოქმნას, რომელიც მთლიანობაში ამ ხელთუქმნელ ხატს ქმნის; ვერ ახსნეს ასევე, თუ როგორ მიეცა ხატს ასეთი ფორმა. არანაირი ცნობილი ტექნოლოგიის კვალი მასზე არ აღინიშნება. NASA-ს მეცნიერები ადასტურებენ, რომ მასალა, რომელიც ფერთა გამას ქმნის, სრულიად უცნობია. დედამიწაზე ცნობილ ქიმიურ ელემენტთაგან მასში არც ერთი არ აღმოჩნდა. კვლევის პროცესში მათ ქსოვილის ზედაპირიდან ლაზერის სხივი გვერდულად გაუშვეს და დაინახეს, რომ ქსოვილის არც წინა, და არც უკანა პირზე კოლორაცია არ აღინიშნება; ფერები სამი მილიმეტრით არის დაშორებული ქსოვილის ზედაპირს, ისე რომ მას არ ეხება, ანუ ფერთა გამა მანტიის ზედაპირიდან ჰაერში ერწყმის ერთმანეთს.

5. მცენარის (maguey) ბოჭკოვანას, რითაც ეს ქსოვილია წარმოებული, წესით, 20-30 წელზე მეტხანს არ უნდა გაეძლო. მსგავსი მცენარის ბოჭკოთი გაკეთდა ქსოვილის ასლი, რომელიც, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, სრულიად გაცვდა, 500 წლის წინანდელი ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი კი პირვანდელივით სრულყოფილია.

6. 1791 წელს, ქსოვილს ზემო, მარჯვენა მხარეზე შემთხვევით გადაესხა ქლორის მჟავა. ოცდაათი დღის მანძილზე, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, თავისთავად აღდგა ქსოვილის დაზიანებული ნაწილი.

7. ღვთისმშობლის მანტიაზე მიმობნეული ვარსკვლავები ზუსტად გამოსახავენ იმ ციურ კონფიგურაციასა და პოზიციას, როგორც ეს სასწაულის დღეს ჩანდა მექსიკის ცაზე.

8. XX საუკუნის დასაწყისში, უცნობმა მამაკაცმა მაღალი სიმძლავრის ბომბი დამალა ღვთისმშობლის ხატის ქვეშ მოთავსებულ ყვავილების დიდ თაიგულში. აფეთქებამ ირგვლივ ყველაფერი გაანადგურა, დაუზიანებელი დარჩა მხოლოდ ხატი.

9. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მარიამის თვალები, ადამიანის თვალის მსგავსად, ფლობდნენ გამოსახულების რეფრაქციის (სხივების გარდატეხის) სამ ეფექტს.

10. მარიამის გუგებში (მხოლოდ 7,8 მმ) აღმოაჩინეს ადამიანის ისეთი მომცრო გამოსახულება, რომელსაც

ვერც ერთი მხატვარი ვერ დახატავდა. ორივე თვალის გუგაში გამოსახულია ერთი და იგივე სცენა. გამოსახულება ციფრული ტექნოლოგიის საშუალებით გაადიდეს და დაინახეს, რომ მარიამის თვალებში ინდიელი ჭაბუკი, ხუან დიეგოა გამოსახული, რომელიც ეპისკოპოს ზუმარაგას (Zumárraga) წინაშე თავის ტილმას შლის. გაინტერესებთ ამ სურათის ზომა? – მილიმეტრის მემილიონედის მეოთხედი.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს შემდეგი ორი ფენომენიც:

„გვადალუპე“ ადგილობრივ ენაზე ნიშნავს: „გაუჭეჭყე თავი გველს“. სწორედ ეს აზრი დევს ძველი აღთქმის დაბადების წიგნში (3.15): ბოროტების მძლეველი მარიამი.

ხატი მთელი სიზუსტით იმეორებს აპოკალიფსის (თ.12) დეტალს: „გამოჩნდა ცაში დიდი ნიშანი – დედაკაცი, რომელსაც ემოსა მზე, მის ფერხთით იყო მთვარე“.

გვადალუპეს დედუფალი, რომელიც მზით შემოსილი ეჩვენა წმიდა ხუან დიეგოს, დღესაც სასოებად ევლინება მთელ მსოფლიოს: იგი არა მხოლოდ გვაუწყებს, რომ ჩვენი სულიერი დედაა, არამედ გვიხმობს, რომ გულები გავუხსნათ ქრისტეს, რომელსაც ვუყვარვართ და რომელიც გვიხსნის.

გვადალუპეს ღვთისმშობლის ეს სასწაულებრივი მოვლენა ადვენტის ლიტურგიული პერიოდის დასაწყიში იმიტომ როდი გავიხსენეთ, რომ სასწაულებრივ და უჩვეულო მოვლენაზე დაგვეწყო ფიქრი, არამედ იმ მიზნით, რომ გავყვეთ ღვთისმშობელი მარიამის, რწმენის მაგალითისა და კაცობრიობის მასწავლებლის, ღვთის სიტყვის მდუმარე მორჩილისა და მახარებლის, გაკვეთილს, და შევისმინოთ ღვთის სიტყვა, რომელიც დღესაც თავის ადგილს პოულობს ცალკეული ქრისტიანის ცხოვრებაში და ისევე გაიელვებს მთელი თავისი ბრწყინვალეებით, როგორც მექსიკაში დაცულ ტილმაზე აღბეჭდილი ხელთუქმნელი ხატი.

მამა
გაბრიელე ბრაგანტინი

თორმეტი შეკითხვა იესოს შესახებ

6. რა ვიცით იესოს ძმების შესახებ?

ბევრჯერ დასმულა შეკითხვა იესოს სავარაუდო ძმების შესახებ, რომლებიც სახარებაში არიან მოხსენიებული (მათე 12:46, 13:55; მარკოზი 3: 31-32, 6:3; 8:19-20; იოანე 2:12, 7:3-5; საქმენი 1:14; 1 კორინთელთა 9:5). სწორედ ეს მონაკვეთები გვამცნობენ იესოს „ძმების“ შესახებ.

საკითხის გასარკვევად, უწინარეს ყოვლისა, მივმართოთ სახარების ბერძნულ ორიგინალს. იქ გამოყენებულია სიტყვა „ადელფოი“, რომელიც, როგორც ზოგიერთ განმმარტებელს მიაჩნია, გულისხმობს ძმას. „ადელფოი“ არის მრავლობითი ფორმა სიტყვისა „ადელფოს“, რაც, შესაძლოა, მართლაც აღნიშნავდეს ძმას, მაგრამ რომელიც, აგრეთვე, ნიშნავს უფრო შორეულ ნათესავსაც, მაგალითად, ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს, მამიდაშვილებს, ბიძებს, დისშვილებს, ძმისშვილებს, მაზლებს. მამრობითი სქესის ყოველი ნათესავი შესაძლოა აღინიშნოს სიტყვით „ადელფოს“, რადგან მათ ძველი ებრაული ენა არც მიჯნავდა ერთმანეთისაგან, განსხვავებით ჩვენგან, როგორც დღეს ვართ ჩვეული.

ამის დასტურია თავად ბიბლიური ტექსტები. დაბადების წიგნიდან (11:27 – „თერახმა შვა აბრამი, ნახორი და ხარანი; და ხარანმა შვა ლოტი“; 11: 31 – „წაიყვანა თერახმა აბრამი – თავისი ძე, და ლოტი – ხარანის ძე, თავისი შვილიშვილი“; 14: 12 – „და წაიყვანეს აბრამის ძმისწული ლოტიც“) ნათელია, რომ აბრამი და ხარანი არიან ძმები, ხოლო ლოტი არის ხარანის ძე, რის გამოც აბრამი ლოტის ბიძაა. ამავე დროს, ლოტი აბრამის ძმისწულია. ამის მიუხედავად, ამ ურთიერთობის გამოსახატავად ბიბლიური ენა ორიგინალურ ტექსტში იყენებს მეტად რთულ გზას (იხ. 12:5 – „წაიყვანა აბრამმა... ლოტი, თავისი ძმისწული“) ან ამისათვის სარგებლობს სიტყვით „ადელფოი“ – ბერძნულად ანდა „ახ“ – ებრაულად. ასეა, მაგალითად, 14:16, სადაც ებრაულ და ბერძნულ ტექსტებში ნათქვამია: „მისი ძმა ლოტი“. რატომ ეწოდება ლოტს ამ შემთხვევაში აბრამის ძმა, როცა იგი იყო ხარანის, აბრამის ძმის, ვაჟი? ამ კითხვას მხოლოდ მაშინ ვუპასუხებთ, თუ გვეცოდინება, რომ როგორც ებრაულად, ისე ბერძნულად თითო სიტყვა არ შეესაბამება თითო ნათესაობრივ ურთიერთობას. იმის გამო, რომ იმდროინდელ ენებში არ არსებობდა საგანგებო სიტყვა „ბიძის,“ „ძმისშვილისა“ თუ „ბიძაშვილის“ გამოსახატავად, სარგებლობდნენ სიტყვით „ძმა“, რომელიც ფართო მნიშვნელობის ნათესაობას აღნიშნავდა. ამრიგად, როცა ახალ აღთქმაში ვკითხულობთ იესოს „ადელფოი“-ს შესახებ, მათ, შესაძლოა, იგივე ნათესაობა ჰქონდათ იესოსთან, როგორიც აკავშირებდა ერთმანეთთან აბრამსა და ლოტს. იესოს, მაგალითად, ნამდვილად ჰყავდა ერთი ამგვარი ახლო ნათესავი – იოანე ნათლისმცემელი.

იოსებს, შესაძლოა, ჰყავდა და-ძმა, რომელთაც, შესაძლოა, ჰყავდათ შვილები, ხოლო ისინი, შესაბამისად, იქნებოდნენ იესოს ბიძაშვილები და მამიდაშვილები. ასევე, მარიამს, შესაძლოა, ჰყავდა და-ძმა, რომელთაც, ასევე, შესაძლოა, ჰყოლოდათ შვილები, დაახლოებით იესოს ასაკისა. თუკი იოსების ძმა გარდაიცვლებოდა მანამ, სანამ მისი შვილი სრულწლოვანი გახდებოდა, იოსებს, შესაძლოა, ეს ყრმა საკუთარ სახლში მოეყვანა და მაშინ იესო აღიზრდებოდა ბიძაშვილთან ან ბიძაშვილებთან ერთად, რომელთაც ნამდვილად ეწოდებოდათ „ადელფოი“. სხვათა შორის, ზოგიერთ ტრადიციასა და ენაში ბიძაშვილებს, მამიდაშვილებს თუ დეიდაშვილებს დღემდე შინაურულად „ძმებს“ უწოდებენ.

დაბოლოს, კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ მარიამსა და იოსებს სხვა შვილები არ ჰყავდათ: სად არიან ისინი ჯვარცმის დროს? იმ წუთებში იესო მარიამს მიაბარებს იოანეს, ხოლო იოანეს კი – მარიამს. იესოს რომ ნამდვილი ძმები ჰყოლოდა, ისინი, ალბათ, მარიამთან იქნებოდნენ გოლგოთაზე და აღარ გაჩნდებოდა არავითარი საჭიროება, რომ ნეტარი დედა საზრუნავად იესოს საყვარელ მოწაფეს ჩაჰბარდებოდა.

მასალა მოამზადა
მერაბ ღაღანიძემ

თანამედროვე ქალის არჩევანი: ბუნებრივი მეთოდი

2010 წლის 30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე თბილისის „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ საკონფერენციო დარბაზმა მნიშვნელოვან კვირეულს უმასპინძლა, რომელიც ქუთაისის ორგანიზაციის, INER-Georgia – წყვილისა და სიცოცხლის სამსახურში, მიერ იყო ორგანიზებული. კვირეულის პროგრამა ითვალისწინებდა ავსტრიელი ექიმის, იოსებ როცერის სიმპტო-თერმული მეთოდის და მისი მორალური ღირებულებების პოპულარიზაციას.

პირველი სამუშაო დღე კონფერენციას დაეთმო, სა-

დაც INER-იტალიის პრეზიდენტის, ქალაქ ვერონას ფერტილურობისა და სექსოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი ექსპერტის, ჯან კარლა სტივანელას მიერ წარმოდგენილმა თემამ „ფერტილურობის ბუნებრივი რეგულირება წყვილის ცხოვრების სამსახურში“ განსაკუთრებული ინტერესი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. თემას ლაიტმოტივად გასდევდა ჩვენივე ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე მოთხოვნები.

მოწვეულ სტუმართა შორის ქალბატონების სიჭარბემ ხელი შეუწყო მეტად უშუალო, გახსნილი დიალოგის წარმართვას. მათივე აღიარებით, ისინი დაღალა გამუდმებით კონტრაცეპტივებისა და აბორტის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღებამ. ამიტომაც მათთვის სწორედ რომ დროული იყო როცერის სიმპტო-თერმული მეთოდის შეთავაზება, რადგან შვილოსნობის ბუნებრივი თვითკონტროლი წყვილებს ეხმარება ღირსეული ურთიერთკავშირის დამყარებაში, რაც, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს მათ ქორწინებაზე.

მორალური თეოლოგიის სპეციალისტის, დონ ჯინო ძამპიერის საუბარმა დაგვანახა მორალური ღირებულებების პირდაპირი კავშირი სიყვარულთან. თუკი ადამიანს საკუთარი თავი არ უყვარს, იგი ვერც სხვის შეყვარებას შეძლებს. ყველა ადამიანის მიზანია, იყოს ბედნიერი, მაგრამ რეალობა გაცილებით რთულია. ამიტომაც ყველა ჩვენთაგანს უხდება გზის ძებნა ბედნიერების მისაღწევად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ურთიერთობებს ქალსა და მამაკაცს შორის და დანარჩენ გარე სამყაროსთან. გრძნობა ქალსა და მამაკაცს შორის უნდა გაიზარდოს, რაც ჰარმონიული ურთიერთობით მიიღწევა. კონკრეტულ შემთხვევაში კი, ობდ-ის მეთოდი წყვილს საშუალებას აძლევს, სასურველი ორსულობის მიღწევა, ან მისი თავიდან აცილება შეძლოს ზნეობრივად მისაღები გზით.

მეთოდი საკმაო მოწონებითა და ნდობით სარგებლობს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში; იგივე შეიძლება ვთქვათ ქართველი ექსპერტების მიმართაც. კონფერენციის მეორე დღეს, მათ ბუნებრივ მეთოდებთან დაკავშირებული სხვადასხვა თემატიკისა და პრობლემების კვალიფიციური ცოდნა გამოავლინეს. შემდეგ კი, საგამოცდო კომისის სხვა წევრებთან ერთად, მომავალ ექსპერტებთან შეხვედრებს გაუკეთეს ორგანიზება; მათ ინფორმაცია მიაწოდეს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე და, ნაშრომების გასწორებისას, ცალკეული შეცდომების განზოგადებით, კონკრეტულად მიუთითეს, თუ როგორი პასუხისმგებლობითა და საკითხისადმი სიღრმისეული მიდგომით უნდა მოეკიდონ მეთოდის მიწოდება-განხორციელებას.

3 ნოემბერს, ქ. ახალციხეში, დროის სიმცირის გამო, ოდნავ შეკვეცილი ფორმატით, იგივე თემატიკაზე გაიმართა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ექიმები და სამედიცინო სფეროს სხვა წარმომადგენლები. ვიზუალური ეფექტებით სრულყოფილად მიწოდებულმა მეთოდმა, რომელსაც ქ-ბი: ჯანკარლა სტივანელა, ლალი ჩარკვიანი და ნანა ნებიერიძე კომენტარს უკეთებდნენ, დიდი ინტერესი გამოიწვია. რამდენიმე მათგანი ძალიან დაინტერესდა და მისი უკეთ შესწავლის სურვილი გამოთქვა. „ინერ-ჯორჯია“ წყვილისა და სიცოცხლის სამსახურში“ წარმომადგენლებმა მათ სხვადასხვა საჭირო საინფორმაციო ბროშურები შესთავაზეს, რომელთა საშუალებითაც ისინი საჭირო უნარ-ჩვევებს შეიძენდნენ.

ახალციხეში ყოფნისას, ძალზე სასიხარულო მომენტი იყო რაბათის ეკლესიის მშენებლობის მონახულება, შეგრძნება იმისა, თუ რა მნიშვნელოვან ფაქტს ჩაეყარა საფუძველი. იტალიელი სტუმრებიც დიდი ინტერესით უსმენდნენ მათივე თანამემამულე მასპინძელს, სუორა ანა მარიას.

გვიანი შემოდგომის მზიანი დღე მალე მიილია, უკან დაბრუნებულებს,... მოგვაცილებდა ბინდში ჩაძირული ბორჯომის ხეობა, ჩვენ ჩვენს საფიქრალს ვფიქრობდით, ის კი თავისას.

ლალი ჩარკვიანი

საარქივო მასალები

მეფე ერეკლემ პატრი ანტონი (მეორე) და მავრო 1780 წელს ევროპაში გაგზავნა იოსებ იმპერატორთან სამეფო საქმეების გამო. მეფე გიორგის დიდად უყვარდა პატრი ნიკოლა, უყვარდა პატრი როგორც სუფთა ადამიანი, ექიმი, მწიგნობარი და ქართულ ენაზე მქადაგებელი, კარგი მოსამართლე და მოძღვარი. პატრი ნიკოლა ყველა კაპუცინებზე უფრო კარგად ლაპარაკობდა ქართულად. მასზე დიდი ზეგავლენა, სახელოვნება და პატივი საქართველოს მეფეების წინაშე ვერცერთმა სხვა პატრმა ვერ მოიპოვა. პატრმა ნიკოლამ საქართველოში 30 წელიწადს იცხოვრა და მისი აქ ცხოვრება იყო „გაკვეთილი“ ქართველთათვის. მან სასოებით მიიზიდა პატივის საცემლად ისეთი მეფე, როგორიც იყო გიორგი, თეიმურაზ მეორეზე უარესი მტერი რომისა. მეფე გიორგი ხშირად შესჩიოდა პატრს თავის გულის ვარამს და ბოღმას, ასევე სწუხდა თავისი შვილის დავითის ურწმუნოებაზე და ავალებდა პატრს, რომ ჩემს შვილს დარიგება მიეციო.

დავითს ვოლტერის არაფერი ესმოდა, მან ვოლტერის სურათი საქართველოში სხვათა საჩვენებლად ჩამოიტანა და დაჰკიდა სახლის კედელზე. დავითს სამეფო ტახტი ხელიდან ეცლებოდა, ის კი ამ დროს უბრალო კამათში ატარებდა, მთელი თავისი დრო უბრალო ბაიათების წერაში გაატარა და ცოლთან დავაში, რომ გაყრილიყო მასთან.

პატრი ნიკოლა იცნობდა დავითს, იცოდა ყველაფერი კარგად, რომ დავითი ვოლტერის სწავლებით კი არ ურწმუნოებდა, არამედ თავისი გულის წადილების მეოხებით. ამიტომ დავითს არაფერს ეუბნებოდა, მხოლოდ ამხნევებდა მღვიძარეობისათვის. პატრი ნიკოლა დავითს არიგებდა, რომ ჭკვიანად დაეჭირა საქმე, რათა მისი მეოხებით დაედინჯებინა სნეული მეფე, დაემშვიდებინა ოჯახი. მაგრამ დავითი არ უსმენდა პატრ ნიკოლას. აუწყებდა, რომ რაც უნდა ჰქნას მამაჩემმა, მისი სიკვდილის შემდეგ ტახტის მემკვიდრე მე ვიქნები, მეფე მე უნდა ვიყოო. ნიკოლა აუწყებდა: რომ საქმე გაგიძნელდებათ, თუ დამშვიდებით არ იწყეთ მოქმედება და ცხოვრებაო. პატრი ნიკოლას და დავითის საუბარი ყოველთვის ამაზე იყო, ყოველთვის აფრთხილებდა პატრი, მაგრამ ბატონიშვილი დანაპირებსაც კი არ ასრულებდა, თუმცა პატრის დიდი პატივისცემა ჰქონდა და სიყვარული.

პატრი ნიკოლა მეგობარი იყო სოლომონ მსაჯულის და ამიტომ ევედრებოდა მეფეს და დავითს, რომ მისთვის დაებრუნებინათ წართმეული მამულები. იგი კარგად გრძნობდა სოლომონ ლეონიძის ნიჭს.

მეფე გიორგი ნელ-ნელა სნეულდებოდა წყალმანკით. მეფე ერეკლეც ამით დასნეულდა, ხოლო სამეფო სახლის საქმე ირეოდა. სამეფო სახლი დაყოფილი იყო შემდეგ დასებათ: გიორგი მეფის, დარეჯან დედოფლის, იულონის, ალექსანდრესი, ფარნაოზის, თეიმურაზის და იოანესი, ესეიგი რვა წრედ, ყველა თავისკენ იღვწოდა, ყველას უნდოდა მეფობა და განსაკუთრებით დარეჯანს, მეფე ერეკლეს მეუღლეს, იგი ამბობდა: „მე მინდა ვიმეფო, როგორც ეკატერინე იმპერატრიცამ იმეფაო“. იულონი მეფე ერეკლეს ანდერძს ადგა, დავითი ტახტის მემკვიდრეობას, ალექსანდრე ვინც ფარსაგი იქნეს იმან მიიღოს ტახტიო, მარიამი დავითს ემხრობოდა, დანარჩენები არეულ-დარეულები იყვნენ და ყველას თავისი დასი ჰქონდა შედგენილი და თანამომხრეები.სოლომონ ლეონიძე კარგად გრძნობდა საქმის ვითარებას. მას შეუერთდა პატრი ნიკოლა, მალე მოახდინეს კრებები და გაავრცელეს აზრები, რომელი აზრებიც ადრე ბევრს სმენია თანამედროვე ქართველთაგან.

— ბატონებო! გაახილეთ თვალები, დაიფარეთ ტახტი სამეფოის, თორემ დაეცემა, დაჰკარგავთ მეფობას, უკანასკნელ სანანაურად გაგიხდებათ საქმე, ამბოხება და შური კმარა საქართველოს დასაღუპად. დიდებულნო, შეერთდით მტკიცე პირობით, დაიყოლიეთ დავითი, დაანწყნარეთ იგი, დაამშვიდეთ მეფე გიორგი, მოიკრიბეთ ძალა, მოკრიბეთ სამუდამო ჯარი ქართველთა, რიცხვით 2000 კაცი, შემოსეთ იგინი სამხედრო შესამოსელითა, მიეცით თოფ-ზარბაზანი, ასწავლეთ მისი ხმარება, განაწესეთ მათთვის სალაშქრო ხარჯი. ჰქმენით საქმე და წესები ისე, ვითარც საფრანგეთშია. საქართველოს ყოველთვის მოუვლის 2000 მეომარი მხედარი. ქალაქში დააწესეთ სამართალი, სამართალი შემოსეთ შიშით და ძალით. მოუარეთ თავს, მოუარეთ მეფობას, ნუ დაჰკარგავთ იმ დროს, როდესაც დაკარგული უნდა მოიპოვოთ, დრო არის თავლი გაახილოთ და იზრუნოთ ქართველ მეფობისათვის.

ამ დროს მეფე გიორგი ძლიერ შეწუხდა, სიცოცხლის იმედი აღარ იყო, მაგრამ მეფე არ მოკვდა, მობრუნდა. ამან უფრო აღაშფოთა ბატონიშვილები. გიორგი მეფეს ასმენდნენ ყველაფერს და ამით შფოთი უფრო მწვავდებოდა, ტახტის დასასრულმა თავი იჩინა, რომ დღეს თუ არა ხვალ საქმე მოხდებაო. გულით ნაწყენმა პატრმა ნიკოლამ ერთ შეკრებაზე აუწყა შემდეგი:

— ბატონებო! გონებას მოდით, შეიტყვეთ ვითარება სამეფოსი, შფოთმა და განხეთქილებამ გაიდგა ფესვი. აქ მეფობა აღარავის სურს, თითქოს ყველა ბატონიშვილები ტახტის ფლობას ეჭვის თვალით უმზერენ, დაპატრონების ეშინიათ, ერიდებათ. აუწყეთ მათ, რომ დაგანებონ თავი, აიღონ ტახტისაგან ხელი. ჩვენ გამოვუჩენთ ტახტს მეფესა, თუ არა და ნუ ისურვებთ მეფეს. ბატონებო, ფრანგები თქვენზე ძლიერნი არიან, მაგრამ ხშირად მეფე არა ჰყავთ და უმეფოდ განაგებენ რესპუბლიკით. ჰყავით თქვენც ასე, ჰქმენით რესპუბლიკა. თუ ასე არა და იმერეთის მეფე მოვიყვანოთ აქ, მას მივცეთ მეფობა ჩვენი, განვამტკიცოთ ერთობა და ქვეყნის სამსახური, რაც ადრიდგანვე დაეცა საქართველოში და ღუპავს საქართველოს.

წიგნიდან, პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი
მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში.
ავტორი ზაქარია ჭიჭინაძე.
თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა
(მოამზადა გია როსტომაშვილმა)

ბევრი ფიქრობს ჩვენზე

2010 წლის სექტემბერ-ოქტომბერში აღმოსავლეთის, კერძოდ კი კავკასიის, თემატიკაზე დაკავშირებულ სიმპოზიუმებსა და სხვადასხვა ინიციატივებს იტალიის რამდენიმე ქალაქი მასპინძლობდა.

ყველა ინიციატივამ აჩვენა, რომ დიალოგი და მშვიდობიანი თანაცხოვრება განსხვავებულ კულტურებს შორის დღევანდელი საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად პრობლემად იქცა, რაც უკავშირდება გლობალიზაციას, კერძოდ კი, მიგრაციის მზარდ ფენომენს. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ახალი თაობის ფორმირება ახალი მენტალიტეტით, რაც დაემყარება პიროვნებათა შორის სოლიდარობასა და დიალოგს, საკუთარი ისტორიისა და კულტურის სიღრმისეულ გაცნობას, ურთიერთპატივისცემის საფუძველზე რეალური ინტეგრაციის გზების გამონახვას.

ქვემოთ მოგაწვდით მოკლე ინფორმაციას ამ შეხვედრების შესახებ:

ქ. გაზაგო: „კონსტანტინოპოლიდან კავკასიამდე. ქრისტიანობასა და ისლამს შორის მოქცეული იმპერიები და პოპულაცია“.

ასეთი იყო XXXII სიმპოზიუმის თემა, რომელიც „წმიდა გულის“ სახელობის კათოლიკური უნივერსიტეტის თანამშრომლობითა და ცნობილ მკვლევართა მონაწილეობით, 7-11 სექტემბერს, მილანთან ახლომდებარე ქალაქ ვარეზეში გაიმართა. მოცემული თემა აქტუალური ხასიათისაა და უშუალოდ ეხება ქრისტიანობასა და ტრადიციულ რელიგიებს (ისლამი და ებრაიზმი) შორის ურთიერთობას. თუმცა, მრავალი ასპექტიდან გამომდინარე, საკითხი პრობლემურია და მოიცავს მიგრაციულ პროცესებს, რომელმაც ეპოქალური ძვრები გამოიწვია. ივნისის თვის დასაწყისში, ანატოლიის სამოციქულო ვიკარის, მონს. ლუიჯი პადოვეზეს (სწორედ მას ევალებოდა სიმპოზიუმის დახურვა) მუხანათური მკვლელობა თემის აქტუალობაზე და ვითარების დრამატულ ხასიათზე მეტყველებს. კონფერენციაზე მონსინიორ პადოვეზეს შემცვლელად მოგვევლინენ „ადამიანის უფლებათა“ სამსახურის ხელმძღვანელი, უკვე თურქეთის ეპისკოპალური კონფერენციის სპიკერი, და კავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, მისი ყოვლადმაღალუსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო; მათ დახურულად გამოაცხადეს შეხვედრა, რომელიც თურქეთსა და კავკასიაში ქრისტიანების, კერძოდ, კათოლიკეების მდგომარეობას ეხებოდა. საინტერესო გალხდათ: პროფ. ქრისტიან ჰანიკის (ვურზბურგი) მოხსენება — „ენები და ანბანები ქრისტიანულ კავკასიაში“; პროფ. გაგა შურღაიას (ვენეცია) მოხსენება — „კონსტანტინოპოლის რწმენის გასხივოსნება კავკასიაში: მართლმადიდებლური საქართველო“; მარიამ ნანობაშვილის (თბილისი) თემა — „ისლამის ექსპანსია კავკასიაში და მართლმადიდებლური საქართველო“, პროფ. სილვია სერანოს (პარიზი) მოხსენება, „საქართველო და მისი ეკლესია: რუსეთის იმპერიაში მისი ინტეგრაციიდან ავტოკეფალიის დაბრუნებამდე“.

ქ. ბოზე: „მართლმადიდებლური სულიერების XVIII საერთაშორისო ეკუმენური სიმპოზიუმი“.

კაცობრიობის ცხოვრების ორი შემადგენელი ნაწილის, სულიერი ცხოვრების ორი არსებითი ელემენტის — თანაზიარებისა და განდეგილობის ახლებურად გააზრება და მათი განხილვა საღვთო წერილისა და მამათა სწავლების შუქზე (ბასილი დიდიდან ისააკ სირიელამდე, უდაბნოს მამებიდან რუსულ და ბიზანტიურ ბერმონაზვნობამდე).

ქ. ბოზეს (იტალია) კათოლიკურ მონასტერში 8-11 სექტემბერს გამართული XVIII ეკუმენური სიმპოზიუმის — „თანაზიარება და განდეგილობა“ მთავარი თემა იყო აღმოსავლური ქრისტიანული ფილოსოფია და საღვთისმეტყველო აზროვნება და მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი მამების სიბრძნე. აღინიშნა, რომ ინდივიდსა და კოლექტივს შორის დაპირისპირება, რაც თანამედროვე ეპოქაში, არცთუ იშვიათად, კონფლიქტების მიზეზად ითვლება, შეიძლება ქრისტიანულ ტრადიციაში, კერძოდ, მართლმადიდებლურ გარემოში, ჰუმანურობის ახალ გზად იქცეს, რაც თანაზიარებასა და განდეგილობის ფორმებში აისახება.

სიმპოზიუმი, უკვე ოცი წელია, მართლმადიდებელ ეკლესიებთან თანამშრომლობით იმართება, და იგი შესანიშნავ პირობას წარმოადგენს სულიერი ცხოვრების ძირითადი საკითხების გასაშუქებლად. ეს იყო თეოლოგიური, ისტორიული და ფილოსოფიური ნაწილისგან შემდგარი ოთხი ინტენსიური სამუშო დღე. მასში მონაწილეობდნენ მართლმადიდებლური, კათოლიკური და რეფორმისტული ეკლესიები.

თანაზიარებასა და განდეგილობას შორის არსებული სულიერი დინამიკა განსაკუთრებით მეტყველ სახეს იღებს სამონასტრო გარემოში. ამ საკითხს მრგვალ მაგიდასთან ერთი დღე დაეთმო; საუბარი წარიმართა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბერმონაზვნობის თანამედროვე გამოჩენილი სულიერი წინამძღვრების შესახებ, ასევე, საკრებულოს ცხოვრების ქრისტიანულ გაგებაზე და ღმერთთან შესახვედრად განმარტოებისათვის აუცილებელ პირობაზე. ყველაფერი ეს განხილულ იქნა ბიბლიურ საფუძველზე, და აღმოსავლეთსა და დასავლეთში სამონასტრო და პატრისტიკული ტრადიციების გათვალისწინებით. მართლმადიდებლური პერსონალიზმი, რომელიც ღრმად გაიაზრებს პიროვნებასა და თანაზიარებას, ეხება ორ ფენომენს — „თანაზიარებასა და განდეგილობას“. სიმპოზიუმზე გაიხსენეს თანამედროვე განდეგილების, მამა კლეოპ სიჰასტრიელისა (1912-1998) და მამა პორფირე კაფსოკალვიელის (1906-1991), გამოცდილება.

სიმპოზიუმის წინა დღეს, ქ. ბოზეს მონასტერში წაიკითხეს ბენედიქტე XVI-ის მისასალმებელი სიტყვა, რომელშიც ის, უწინარესად, გამოხატავს პატივისცემას ამ საამაყო და იმედისმომცემი ეკუმენური ხასიათის შეხვედრის გამო; ასევე, ამ ინიციატივის ფართოდ გავრცელებისთვის, რაშიც აქტიურად მონაწილეობდა მრავალი მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი, ბერმონაზონი და საერო პირი; და ბოლოს, არჩეული თემატიკის ინტერესის გამო, რამაც აჩვენა როგორც კულტურული, ასევე საეკლესიო აქტუალობის მრავალმნიშვნელოვანი პუნქტები.

სიმპოზიუმზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მართლმადიდებლური ეკლესიის (მოსკოვის, ალექსანდრიის, რუმინეთის...) პატრიარქებმა;

გთავაზობთ ამონარიდს კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ბართოლომეო I-ის მიმართვიდან:

„თქვენი ფასდაუდებელი სამონასტრო წვლილი ჩვენს ეპოქაში და ჩვენს საზოგადოებაში ღრმად დაგვაფიქრებს იმ დეფინიციაზე, რომელიც IV საუკუნეში მოგვაწოდა ბერმა ევაგრიო პონტიციუსმა; იგი გახლდათ „ყველასგან განდეგილი და ყველასთან თანაზიარი“ (Sulla preghiera, C. 124). და ხორცს ასხამს VI ს-ში ბარსანუფიუსის და იოანეს მიერ გადმოცემულ ეგზორტაციას, რომლებიც „სხვებთან ისე იმყოფებოდნენ, თითქოს არც კი იყვნენ მათთან“ (Lellera 173). უახლესი კვლევები აჩვენებენ, რომ განმარტოება და სიჩუმე სხვებთან ურთიერთობასა და თანაზიარებაში შესვლის სწორ ფორმას შეგვასწავლიან.

ფლორენცია: 17-21 ოქტომბერს, ხელოვნების ქალაქში, რომუალდო დელ ბიანკოს ფონდისა და თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობით, შედგა საერთაშორისო სიმპოზიუმი — „ევროპის უსაფრთხოება და კავკასია“. თემა განხილულ იქნა სხვადასხვა კუთხით, მთავარი ყურადღება კი დაეთმო დღევანდელ ინტერრეგიონალურ პროცესებს, სოციალურ-დემოკრატიული განვითარების ფორმებს, მათ შორის, რელიგიურ და ჯანდაცვის საკითხებს, ასევე, მოსაზღვრე ქვეყნებთან არსებულ ვითარებას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: პროფ. გ. ალასანია, გ. ნოდია, ზ. დავითაშვილი, ლ. ხუბაშვილი, ს. რატიანი, ო. თოიძე, მ. სანაძე, კ. თოფურია, მ. გ. ბრაგანტინი, ე. ნავროზაშვილი, მ. ოდიშარია, ფ. გურსოი, გ. ანჩაბაძე, თ. ბოლქვაძე, ნ. გონჯილაშვილი.

გორიცია: 14-15 ოქტომბერს, სლოვაკეთისა და იტალიის მოსაზღვრე ქალაქში გაიმართა სიმპოზიუმი თემაზე — „ირანული მონოთეიზმი“; ორგანიზატორები გახლდნენ კულტურული ასოციაცია „Oriens“-ი და მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ჯ. რიესი. ძალზე საინტერესო იყო მოხსენება თემაზე „განგიდან ლიტანამდე: იდენტურობა და მტერი; ცხოვრებისეული ფრაგმენტები; ქრისტიანული ეკლესიები აღმოსავლური რომაული იმპერიის შემდგომ პერიოდში. სპარსეთიდან ჩინეთამდე“; ორი სამუშაო დღის მანძილზე, დელეგატები ცდილობდნენ, ერთმანეთთან დაეკავშირებინათ აღმოსავლური ინდო-ირანული სამყარო, ქრისტიანულ-იუდაური სამონასტრო რელიგიურობა და ბერძნული ცნობიერება.

ასოციაცია „რონდინე“:

ამ საშემოდგომო ინიციატივებს შორის აღსანიშნავია ქ. არეცოს (იტალია) სამშვიდობო ციტადელის, ასოციაცია „რონდინეს“ საზაფხულო შეხვედრა, სადაც 15 ივლისიდან 1 აგვისტომდე მიწვეულები იყვნენ დელეგატები კავკასიიდან და თურქეთიდან. ამავე დღეს, ბათუმში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინიტრის წარმომადგენელი კატრინ ეშტონი საქართველოს მიერ ორგანიზებულ სემესტრულ კონფერენციას მართავდა, ევროპასთან დაახლოების საკითხებზე. ასოციაცია „რონდინე“ არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსით იყო მიწვეული ამ შეხვედრაზე, მაგრამ ვერ მოხერხდა კონფერენციაზე დასწრება.

„რონდინეს“ დელეგატთა მოგზაურობის ძირითადი მიზანი იყო კავკასიაში მშვიდობისა და ახალი ურთიერთობების დამყარების მიზნით შედგენილი თოთხმეტ პუნქტიანი დოკუმენტის გაცნობა. მოგზაურობისას დელეგატებმა გადალახეს ოთხი ქვეყნის საზღვარი, მათ მაღალი დონის შეხვედრები ჰქონდათ (სულ თორმეტი) ქალაქის მერებთან, მინისტრებთან და ვიცე-მინისტრებთან, სასულიერო წარმომადგენლებთან; კონსტანტინოპოლში მოინახულეს პატრიარქი ბართოლომეო I, ეწვივნენ ათ უნივერსიტეტს, გამართეს სამი შეხვედრა უცხოურ კომერციულ ინსტიტუციებთან, ოცდათვრამეტი — არასამთავრობო ორგანიზაციასთან და საერთაშორისო ორგანოებთან.

მოგზაურობა დაიწყო 7 ივლისს, მას შემდეგ რაც დელეგატები პაპის წინაშე ამ ინიციატივის პრეზენტაციით წარდგნენ და ჩანაწერიც დატოვეს: „დელეგაციამ გეზი აიღო საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან; 19-21 ივლისს მეგობრული კავშირები და თანამშრომლობა დამყარდა ყველა წამყვან უნივერსიტეტთან; „რონდინეს“ პრეზიდენტ ვაკარის, თბილისის დ. გურამიშვილის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ოფიციალურად გადაეცა საპატიო დიპლომი კონფლიქტების მოგვარებაში აქტიური მონაწილეობისათვის. მნიშვნელოვანი გახლდათ შეხვედრა რეინტეგრაციის მინისტრთან, თ. იაკობაშვილთან და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ა. ნალბანდოვთან; ამაღელვებელი იყო რუსთაველის თეატრში გამართული ზეიმი, სადაც „რონდინეს“ კურსდამთავრებულები, თავიანთ ოჯახებთან და მეგობრებთან ერთად, სიამოვნებით იღებდნენ მონაწილეობას ქართულ ტრადიციულ სიმღერებსა და ცეკვებში. თბილისში გატარებული დღეებიდან, დიდად მნიშვნელოვანი გახლდათ შეხვედრა კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორთან, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსთან, და საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელთან, ეპისკოპოს გერასიმესთან, ასევე, აფხაზეთის ეპარქიის წარმომადგენელ მამა დანიელთან.

22 ივლისს მოეწყო ფეხით მსვლელობა წითელ ხაზზე, რომელიც თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას, აფხაზეთს, საქართველოს დანარჩენი ნაწილიდან გამოჰყოფს. ეს დღე ყველა მონაწილესათვის ამაღელვებელი იყო: სტუდენტების ინტერნაციონალურმა ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა კავკასიელი, ლიბანელი, ებრაელი, მაკედონიელი და რუსი წარმომადგენლებისაგან, პირველად გადალახა აფხაზეთის საზღვარი ზუგდიდის გავლით. სოხუმში დელეგაციას მრავალგან ელოდა შეხვედრა, მათ შორის, უნივერსიტეტში, რომლის მემორიალურ დაფაზეც, მარად მოსაგონებლად, ამოკვეთილია საქართველო-აფხაზეთის ომის დროს (1992-93 წწ.) დაღუპული ოთხმოცდათოთხმეტი სტუდენტის სახელი“.

მოამზადა

მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

ინფორმაცია



ქართული ღვინის კიდევ ერთი აღიარება

ვენახი და ღვინო ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. საქართველო ითვლება ვაზის სამშობლოდ: მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაპოვარით დასტურდება, რომ ვაზის კულტურის აკვანი კავკასიის ტერიტორიაზე დაირწა, კერძოდ, ქრისტეს შობამდე IV ათასწლეულის ბოლოსა და III ათასწლეულის დასაწყისში. ღვინის წარმოებამ კი თავის განვითარებას ქრისტეს შობის შემდეგ, პირველ საუკუნეებში მიაღწია, რაც ქრისტიანობის ზეგავლენით აიხსნება. საქართველოში წარმოებულმა დამპყრობლურმა ომებმა და ინვაზიებმა XVIII საუკუნის ბოლოს ეს საქმიანობა დააკნინა, მაგრამ შემდეგ, XIX საუკუნეში ის განსაკუთრებული სახით განახლდა.

მათ შორის, რომლებიც ზრუნავდნენ საქართველოში ვაზის კულტურის აღორძინება-აყვავებისათვის, ერთ-ერთია მიტროპოლიტი სერგი. მისი საქმიანობა ერთდროულად წარმოაჩენს ვენახისა და ღვინის საკრალურ ფასეულობას, მისი წარმოების განახლების სურვილსა და მსოფლიო ბაზრისადმი გახსნილობას. საქართველოს დღევანდელ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაში, რუსეთის ემბარგოს პირობებში, მიტროპოლიტი

სერგი დიდი გულმოდგინებითა და რუდუნებით შრომობს, რათა ქართულ პროდუქციას დაუბრუნოს საკუთარი ტრადიციული ადგილი, თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობა და გლობალურ ბაზარზე გასასვლელი გზა.

მაზის ფონდმა ნეკრესის მიტროპოლიტ სერგის მიანიჭა 2010 წლის ღვინის ცივილიზაციის საერთაშორისო პრემია, რომელიც გასულ წლებში მიენიჭა ისეთ ენოლოგებს, როგორიც არიან ფილიპ როტშილდი, კრუგების ოჯახი, ნიკოლო დელა როკეტა და სხვები.

მიტროპოლიტი სერგი ვერონაში ჩავიდა 24 სექტემბერს, იმავე საღამოს, მასპინძლებმა მაზის ფონდიდან და სხვა ლაურეატებმა: ვიოლენჩელისტმა მარიო ბრუნელომ, იტალიური ქიმიური მრწველობის წარმომადგენელმა დიანა ბრაკო დე სილვამ, უნგრელმა მწერალმა პეტერ ესტერჰაძიმ და დიზაინერმა და სატირული წერილების ავტორმა ფრანჩესკო ტულიო ალტანიმ გამართეს საზეიმო ვახშამი. ვახშამზე მიტროპოლიტის მდივანმა, ზურაბ გელაშვილმა ყველას გაასინჯა ქართული ღვინო, დაურიგა საქართველოს ღირსშესანიშნავი და ისტორიული ადგილების ფოტოები და სუვენირები.

შაბათს, 25 სექტემბერს, მიტროპოლიტი სერგი შეხვდა ვერონის ეპისკოპოსს, მონსინიორ ჯუზეპე ძენტისა და მის ვიკარს ეკუმენიზმის სფეროში, დონ დიეგოს. შეხვედრამ თბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. მიტროპოლიტმა სერგიმ ბევრი ისაუბრა საქართველოსა და მართლმადიდებლური ეკლესიის შესახებ; აღნიშნა, რომ ძალიან კმაყოფილია კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობით, რომ მას დიდ დახმარებას უწევს წმიდა ტახტის დესპანი კავკასიაში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი. ყოველ წელს მართლმადიდებელი სემინარისტები მიჰყავთ იტალიაში წმ. ნიკოლოზის საფლავის მოსალოცად. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კათოლიკურ ეკლესიასთან მიმართებაში, კონკურენციის საშიშროებიდან გამომდინარე, თავდაპირველად არასწორი სტრატეგია აირჩია, რომელმაც არ გაამართლა, მაგრამ ახლა მართლმადიდებლური ეკლესია ცდილობს, გააღრმავოს თავისი ურთიერთობები „და“ ეკლესიასთან.

ეკუმენიზმის საკითხებზე პასუხისმგებელი, ვერონის ეპისკოპოსის ვიკარი, დონ დიეგო და მიტროპოლიტი სერგი შეთანხმდნენ, რომ მომავალშიც ექნებათ კონტაქტები მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის შუამდგომლობით.

იმავე დღეს, 11 საათზე გაიმართა პრესკონფერენცია. მიტროპოლიტს ბევრი შეკითხვა დაუსვეს საქართველოსა და ღვინის წარმოების შესახებ.

საღამოს, ვერონის ფილარმონიის თეატრში, გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. მიტროპოლიტს საპატიო ჯილდო გადასცა გამოჩენილმა ჟურნალისტმა დემეტრიო ვოლჩიჩმა (იგი კომუნიზმის ეპოქაში, კრემლიდან Rai1-სთვის ამზადებდა ტრანსმისიებს).

კვირადღე მიტროპოლიტს თავისუფალი ჰქონდა ქალაქ ვერონის დასათვალიერებლად.

აღსანიშნავია, რომ მაზის საპატიო ჯილდო წარმოადგენს ცნობილი ღვინის, „ამარონეს“ 100 ბოთლს (მისი ღირებულება დაახლოებით 4000 $-ია).

მაზის ფონდის პრემირებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა იტალიის პრესაში. ასე რომ, საქართველო კიდევ ერთხელ მოხვდა იტალიის მასმედიის ყურადღების ცენტრში.

ედვარდ გოგილაშვილი

განუსვენე მათ, უფალო!



გიგო პეტაშვილი
* 01. 05. 1935 — უდე
† 03. 11. 2010 — უდე

ნინა მანველიშვილი
* 01. 11. 1930 — ვალე
† 24. 10. 2010 — ვალე



კონსტანტინე ჩიტაშვილი
* 12. 04. 1924 — გორი
† 21. 10 2010 — გორი



სიმონ ნასყიდაშვილი
* 05. 04. 1923 — ვალე
† 25. 10. 2010 — ვალე



ნოდარ ნასყიდაშვილი
* 08. 09. 1956 — ვალე
† 24. 10. 2010 — ვალე

სარჩევი

რედაქციის გვერდი.....2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 5
სასწაულები 8
კათოლიკური პასუხი.....10
სოციალური პრობლემები.....11
საარქივო მასალები.....12
ეკუმენური გვერდი.....13
ინფორმაცია 14
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© "საბა", 2010

„საქართველოს კარიგასისი“ 15 წლისთავი

ვარგავის ეკლესიის დღასწაული

ინერ-საქართველოს კონფერენცია თბილისში

ნეკრესის მიტროპოლიტი სერგის დაჯილდოება ვერონაში